პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 87 (13208) | ოთხშაბათი, 14 აპრილი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.



სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს მოწინავე კოლონის ხელმძღვანელი ქ. გიგინეიშვილი. ყოველთვიურად შვიდ-შვიდი მძიმე წონის მატარებლის გადაყვანა — ასეთია კოლონის გადაწყვეტილება. ფოტო ხ. კილაძისა.

# ცოდნას შრომით შევიძენთ

გადაყვანილია შემდეგ კლასში! — ეს უბრალო სიტყვები როდია, როცა მას მოსწავლეზე ლაპარაკობენ. შემდეგ კლასში გადასვლა დიდი აქტია. ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვმა წარმატებით აითვისა საკლასო პროგრამა, რომელიც სახელმწიფომ დაამტკიცა. ეს იმას ნიშნავს, რომ ბავშვმა, ცოდნის კიბეზე რომ დგას, ფეხი აინაცვლა და შემდგომ საფეხურზე ავიდა. გადაყვანილია შემდეგ კლასში! — ეს ის მიზანია, რასაც მთელი სასწავლო წლის შეუპოვარი, დაძაბული შრომით ემსახურებიან მასწავლებელიც და მოსწავლეც.

სწორედ ამიტომ ითვლება ბავშვის მომდევნო კლასში გადაყვანა სკოლის მთელი სასწავლო და აღმზრდელობითი მუშაობის წარმატების უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლად.

ასეთ დიდმნიშვნელოვან საბრძოლო ამოცანასთან პირისპირ დგას უმთავრესი ფიგურა მთელ აღმზრდელობით მუშაობაში — მასწავლებელი. იმაზე, თუ როგორ მოაწყობს იგი სასწავლო-აღმზრდელობითს პროცესს, ბევრად არის დამოკიდებული მოსწავლის წარმატება. თავისი საქმის ოსტატი, მაღალი კულტურის, ბავშვებისა და თავისი კეთილშობილური პროფესიის მხურვალედ მოყვარული მასწავლებელი, განათლებული და ბეჯითი ადამიანი, მუდამ აღწევს წარმატებას იმ დიდ ფრონტზე, რომელსაც ბავშვის სწავლება და აღზრდა ჰქვია.

დასასრულს უახლოვდება სასწავლო წელი. ახლა მეოთხე, დამამთავრებელი მეოთხედია გაჩაღებული. სამოცდახუთი ათასზე მეტი მასწავლებელი იბრძვის სასწავლო წლის წარმატებისათვის თავთავის საგანში. რვაასი ათასზე მეტი ბავშვი იმედის თვალით შესცქერის მათ, და მოწყურებულივით ეწაფება მათგან გადმოცემულ ცოდნას. წინ 31 მაისია — გადასაყვანი და გამოსაშვები გამოცდების პირველი დღე. ამ დღისათვის, და საერთოდ გამოცდებისათვის მზადება ახლა მარტო სკოლას როდი აღელვებს, მოსწავლის მეცადინეობას, სკოლის მუშაობას გაფაციცებით ადევნებს თვალყურს აგრეთვე ოჯახი.

საქართველოში გადასაყვანი გამოცდები ამჟამადაც IV-დან X კლასის ჩათვლით ეწყობა, XI კლასში მათემატიკის წერაში გამოცდაა, რაც სხვა რესპუბლიკებში არ არის.

ცხადია, ყოველივე ეს დადებითად მოქმედებს მთელ სასწავლო პროცესზე, იგი ამაღლებს მომთხოვნელობას ცოდნისადმი, ამობილიზებს როგორც მასწავლებლებს, ისე მოსწავლეებს. სწორედ ამითაც უნდა აიხსნას მოსწავლეთა ცოდნის დონის ამაღლება უკანასკნელ წლებში ჩვენს რესპუბლიკაში. ეს ნათელი გახდა, მაგალითად, შარშან უმაღლეს სასწავლებლებში საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთა მისაღებ გამოცდებზე. 1963-64 სასწავლო წელს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთაგან უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდები წარმატებით ჩააბარა და ჩარიცხულ იქნა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში — 550, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში — 168, საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში — 1.083, თბილისის უცხო ენათა ინსტიტუტში — 159 ჭაბუკი და ქალიშვილი. კარგი მომზადება გამოამჟღავნეს გამოცდებზე აფხაზეთისა და აჭარის, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისის, ქუთაისის, ტყიბულის, გორის, თელავისა და ზოგიერთი სხვა ქალაქისა და რაიონის ცალკეული საშუალო სკოლების კურსდამთავრებულებმა.

ეს წარმატებები, რომლებიც სკოლასაც ახარებს და უმაღლეს სასწავლებელსაც, პედაგოგსაც და მშობელსაც, ერთი დაკვრით როდი მოდის. მათ პირველ კლასშივე ეყრება საფუძველი და მთელი სწავლების მანძილზე გასდევს კარგი მასწავლებლის ბეჯით მოსწავლეს.

ფასამალავი არ არის, რომ თვით ზემოთჩამოთვლილ და ბევრ სხვა უმაღლეს სასწავლებელში შარშან არადამაკმაყოფილებელი შეფასება მიიღო საშუალო სკოლის აღზრდილმა ბევრმა ჭაბუკმა და ქალიშვილმა. ეს მეტად ცუდი ლაქაა იმ სკოლებისათვის, საიდანაც საგნის უცოდინარი ახალგაზრდები გამოვიდნენ. კერძოდ, ეს ეხება ისეთი საგნების სწავლებას, როგორიც არის მათემატიკა, ქიმია, ფიზიკა. სამწუხაროა, რომ ამ საგნებში გამოცდებზე უცოდინარობა გამოამჟღავნეს ოქროსმედალოსნებმაც. ბოლნისის რაიონის განთიადის, ჩოხატაურის რაიონის ხიდისთავის, მაიაკოვსკის რაიონის ობჩის, ზნაურის რაიონის კეხვის და ბევრი სხვა საშუალო სკოლის ოქროს მედლით კურსდამთავრებულებმა უმაღლეს სასწავლებლებში გამოცდებზე მათემატიკაში დაბალი მომზადება გამოამჟღავნეს.

ის გამოცდები იმიტომ მოვიგონეთ, რომ ეს იყო აღნიშნული საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა — თავიანთი მასწავლებლებისა და დირექტორების ფრთებს უკვე მოცილებულთა — თუ შეიძლება ითქვას, პირველი შეჯახება ცხოვრებასთან. და მათ მარცხი განიცადეს. უფრო დიდი ცხოვრება კი წინ არის, დაბალი ცოდნით ასეთი მარცხი კვლავ მოსალოდნელია.

უნდა ვასწავლიდეთ ცხოვრებისათვის, პრაქტიკისათვის და არა „ლამაზი ნიშნებისათვის". უნდა აღიკვეთოს ეგრეთწოდებული „პროცენტომანია", შემთხვევები, როდესაც წარმატების დიდ პროცენტს გამოდევნებული ცალკეული მასწავლებლები ზრდიან მოსწავლეთა ცოდნის შეფასებას. ზოგჯერ ამ ცუდ საქმეს ისინი მარტონი არ სჩადიან, არამედ ამას აიძულებენ სკოლების დირექტორები, განათლების ადგილობრივი ორგანოები.

სამწუხაროდ, კიდევ გვხვდება იმის გამეორება, რომ ზოგიერთ რაიონში ჯეროვნად არ ფასდება მასწავლებლის დიდი შრომა, მას არ ექმნება ნორმალური პირობები ცხოვრებისა და მუშაობისათვის. თუ მისგან ბევრს მოვითხოვთ, ჩვენც მეტი ყურადღება გვმართებს მის მიმართ. არაერთი შემთხვევაა, რომ მასწავლებელმა დატოვა სკოლა. ეს ახლა ბრძოლის ველის მიტოვებას უდრის. ამას კი არ უნდა ვაიძულებდეთ მასწავლებელს.

ჩვენს რესპუბლიკას შეუძლია იამაყოს ნიჭიერი, უნარიანი ნორჩი თაობით. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ჩატარებული ოლიმპიადები. აი თუნდაც 11 აპრილს ჩატარებული ნორჩ ქიმიკოსთა რესპუბლიკური ოლიმპიადის მესამე შემაჯამებელი ტური. მან მრავალი ნიჭიერი ბავშვი გამოავლინა. მასში ოთხასი ბავშვი იღებდა მონაწილეობას. 18 და 25 აპრილს ჩატარდება ნორჩი მათემატიკოსებისა და ფიზიკოსების ოლიმპიადების ასეთი ტურები. ამ ოლიმპიადებზე ბავშვები წყვეტენ არა მარტო პროგრამულ, არამედ უფრო რთულ ამოცანებს, ამჟღავნებენ ამა თუ იმ მეცნიერებისადმი განსაკუთრებულ მიდრეკილებას, უნარს.

ამიტომაც ბუნებრივია, რომ ოლიმპიადებისადმი დიდ გულისხმიერებას იჩენენ საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი, სწორედ ნორჩ მათემატიკოსთა და ფიზიკოსთა ოლიმპიადებზე გამოვლენილი ნიჭიერი ბავშვებით არის დაკომპლექტებული თბილისის № 2 ფიზიკა-მათემატიკური განხრის სკოლა-ინტერნატი. აღსანიშნავია, რომ ამ სკოლა-ინტერნატს დიდ დახმარებას უწევს აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტი, ხოლო აკადემიკოსი ნიკოლოზ მუსხელიშვილი სკოლა-ინტერნატის სამეცნიერო-მეთოდური საბჭოს თავმჯდომარეა. აღვუზარდოთ სამშობლოს კომუნიზმის მშენებელი ღირსეული ცვლა, უნარიანი და მცოდნე თაობა! — ასეთი უნდა იყოს ჩვენი სიტყვა და საქმე, ჩვენი დევიზი.

მიმდინარე სასწავლო წლის წარმატებით დამთავრება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. პარტიული ორგანიზაციები მტკიცედ უნდა ხელმძღვანელობდნენ განათლების ადგილობრივი ორგანოების მუშაობას. თუნდაც ის ფაქტი, რომ წელს რამდენიმე ათასი მეთერთმეტეკლასელი ამთავრებს სკოლას და გადის ცხოვრების დიდ გზაზე, ბევრ რამეს გვავალებს. მათი ზოგადსაგანმანათლებლო მომზადება უნდა შეესაბამებოდეს დროის მაღალ მოთხოვნებს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საღამოს სკოლების კურსდამთავრებულთა ზოგადსაგანმანათლებლო მომზადებას. რედაქციას მოსდის მრავალი წერილი ამ ტიპის სკოლების მუშაობის მტკივნეულ მხარეებზე.

სკოლამ განსაკუთრებული სიბეჯითით და მიზანდასახული შრომით უნდა შეძლოს დარჩენილ დროში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სწრაფად და ნაყოფიერად წარმართვა. საჭიროა გავუფრთხილდეთ მეცადინეობის თვითეულ დღეს, თვითეულ საათს. ამასთან არ უნდა გადავტვირთოთ მოსწავლეები. ეს განსაკუთრებით შეეხება მეცხრე კლასებს, სადაც სასწავლო გეგმები გაფართოებულია იმასთან დაკავშირებით, რომ საშუალო სკოლები ათწლიან სწავლებაზე გადავიდნენ.

შრომა, ბეჯითი, შეუპოვარი შრომა, მეგობრებო, უიმისოდ ცოდნას ვერ შევიძენთ!

წარმატებით დავამთავროთ სასწავლო წელი!

• ვინ იქნება მეღროშე? •

# საპირველმაისო ვახტა

## გამოწვევა მიღებულია

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებლო ქარხნის საამწყობო საამქროს კოლექტივმა მხარი დაუჭირა გ. ჩადუნელის ბრიგადის ინიციატივას. ამ პატრიოტული თაოსნობის გაღვივებას იმანაც შეუწყო ხელი, რომ კიროველებმა გუშინ მიიღეს გამოწვევა მეზობელი სახეხი ჩარხების იმ საამწყობო საამქროს კოლექტივისაგან, რომელსაც შ. აბრიაშვილი ხელმძღვანელობს. კიროველები ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში. მათ საამქროს ყველა უბანში და ბრიგადებში გაშალეს ბრძოლა იმისათვის, რომ აამაღლონ პროდუქციის ხარისხი და შეჯიბრებაში გამარჯვებულს მიენიჭოს უფლება წითელი დროშით მიუძღოდეს წინ სადემონსტრაციო კოლონას.

საამქროს კოლექტივმა გადაწყვიტა: აპრილის დავალება შეასრულოს 28 აპრილისათვის და გეგმის გადამეტებით გამოუშვას 2 უნივერსალური ჩარხი, 5 სიჩქარისა და 8 მიწოდების კოლოფი, ჩარხის 12 უკანა ვეგი.

სანიმუშო წესრიგში იქონიოს სამუშაო ადგილი და ხელსაწყოები.

დაზოგოს ნედლი მასალა.

აიღო რა ეს ვალდებულება, საამქროს კოლექტივმა მოწოდებით მიმართა ქარხნის კოლექტივს სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

გუშინ შესვენებისას ქარხნის კლუბში თავი მოიყარეს ცვლებისა და საამქროების ხელმძღვანელებმა, ზეინკლებმა და ხარატებმა, იმათ, ვინც პროდუქციას ქმნის.

საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ნ. გოგელიძემ შეჯიბრების მონაწილეებს გააცნო ჩადუნელის ინიციატივა და ამავე ქარხნის საამწყობო საამქროს კოლექტივის გადაწყვეტილება.

სიტყვები წარმოთქვეს და სამაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაებნენ ხარატები რ. სამადაშვილი, ტ. გრიგოლია, ზეინკლები გ. რომანეცი, რ. ხანგურიძე.

## თქვენთვის, მშენებლებო!

საქმშენინდუსტრიის თბილისის რკინაბეტონის ნაკეთობათა № 1 კომბინატს შარშან მეოთხე კვარტალში ყველა სახეობის დავალებათა გადაჭარბებით შესრულებისათვის კვლავ მიეკუთვნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა.

შრომის ტემპი ძლიერდება შვიდწლედის დამამთავრებელი წლის ამოცანების გასანაღდებლად. განვლილ სამ თვეში საერთო პროდუქციის გამოშვების საწარმოო დავალება კომბინატმა 104,8 პროცენტით შეასრულა, სასაქონლო პროდუქციისა — 107,6 პროცენტით, გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 33.300 მანეთის პროდუქცია. თბილისის მშენებლებმა დამატებით მიიღეს 5.570 კუბური მეტრი სასაქონლო ბეტონი.

ამ კომბინატის კოლექტივი წინასამაისო შრომითს ვახტზე დადგა და გადაწყვიტა დღესასწაულის წინადღეებში სამშობლოს უპატაკოს აპრილის დავალებათა გადაჭარბებით შესრულება.

## დავალება შესრულებულია

□ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს მანქანათსამშენებლო მრეწველობის სამმართველოს საწარმოებმა წინასამაისო სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლის შედეგად შვიდწლედის დამამთავრებელი წლის საერთო პროდუქციის გამოშვების პირველი კვარტალის საწარმოო დავალება 102,2 პროცენტით შეასრულეს და გეგმის გადამეტებით ასეულ ათასობით მანეთის პროდუქცია აწარმოეს. სასაქონლო პროდუქციის გამოშვების საგეგმო დავალება შესრულებულია დიდი გადაჭარბებით.

საწარმოთა შორის ყველაზე მეტად დაწინაურდნენ და ვადაზე ადრე გადაჭარბებით შეასრულეს პირველი კვარტალის დავალება თბილისის ორჯონიკიძის სახელობის მანქანათსამშენებლო, ბათუმის გემთსამშენებლო, მანქანათსამშენებლო, ქუთაისის საავტომობილო და მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხნებმა.

# მოლაპარაკება კრემლში

## საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა მოლაპარაკება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციასთან

13 აპრილს კრემლში დაიწყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელთა მოლაპარაკება მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციასთან.

საბჭოთა კავშირის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს სხვა ხელმძღვანელი მოღვაწენი.

მონღოლეთის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობენ მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცედენბალი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. მოლომჯამცი და დელეგაციის სხვა წევრები. (საქინფორმი).

# აღშფოთებით გმობენ

საბჭოთა კოოპერატორები აღშფოთებით გმობენ ამერიკის მხედრიონის ბარბაროსულ მოქმედებას ვიეტნამში. თავიანთ მიმართვაში მსოფლიოს ყველა კოოპერატორისადმი ისინი უცხადებენ სრულ სოლიდარობას გმირ ვიეტნამელ ხალხს, რომელიც იბრძვის ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტთა აგრესიის წინააღმდეგ.

„ვიცით, რომ ამაყი და მამაცი ვიეტნამელი ხალხი არ დაიჩოქებს, — ნათქვამია მიმართვაში, — არ დათმობს თავის მონაპოვარს. იგი გაიმარჯვებს იმიტომ, რომ მის მხარეზეა მილიონობით უბრალო ადამიანი".

„ცენტროსოიუზის" გამგეობამ მომხმარებელთა კოოპერაციის 51 მილიონი წევრის სახელით მოუწოდა საერთაშორისო კოოპერაციულ ალიანსს სოლიდარობა გამოუცხადოს მებრძოლ ვიეტნამელ ხალხს და მოითხოვოს, რომ შეწყდეს ამერიკის აგრესია ვიეტნამში. (საქინფორმი).

# ჩეხოსლოვაკიის სავაჭრო დელეგაცია თბილისში

კვირას, საღამოს თბილისში ერევნიდან ჩამოვიდა ჩეხოსლოვაკიის ხელმძღვანელი მუშაკების დელეგაცია ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის საშინაო ვაჭრობის მინისტრის უგერ ინდრჟიხის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაშია არიან ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მსუბუქი, კვების მრეწველობისა და ვაჭრობის განყოფილების გამგის მოადგილე ვაცლავ ჩერმაკი, სლოვაკიის საშინაო ვაჭრობის სამინისტროს რწმუნებულის მოადგილე ემილ ვიცენი, სამინისტროს ვაჭრობის ორგანიზაციის სამმართველოს უფროსი მიროსლავ მალი, საშინაო ვაჭრობის სამინისტროს სამდივნოს უფროსი ვაცლავ გუმპელი, სსრ კავშირში ჩეხოსლოვაკიის სავაჭრო წარმომადგენლის მოადგილე დალიბორ მაიერი.

დელეგაციასთან ერთად ჩამოვიდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ს. ა. ტრიფონოვი, რომელიც ჩეხოსლოვაკიელ სტუმრებს ახლავს სსრ კავშირში მოგზაურობის დროს.

ერევნიდან თბილისში მომავალ დელეგაციას შეხვდნენ საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრი ვ. ზ. თოხაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე დ. მ. მამულაძე, ვაჭრობის მინისტრის პირველი მოადგილე, საქართველოს სავაჭრო პალატის თავმჯდომარე რ. ს. ილიგულაშვილი, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ვაჭრობის სამმართველოს უფროსი ნ. ი. ბიბილეიშვილი.

12 აპრილს ჩეხოსლოვაკიის სავაჭრო დელეგაცია უგერ ინდრჟიხის მეთაურობით შეხვდა რესპუბლიკის ვაჭრობის მინისტრს ვ. ზ. თოხაძეს. შეხვედრას დაესწრნენ სომხეთის სსრ ვაჭრობის მინისტრი დ. ს. ვართანიანი და ამ სამინისტროს სხვა ხელმძღვანელი მუშაკები, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს კოლეგიის წევრები.

ამხ. თოხაძემ ილაპარაკა რესპუბლიკის ეკონომიური და კულტურული განვითარების, ვაჭრობის ორგანიზაციის შესახებ.

შემდეგ დელეგაციის წევრები ეწვივნენ თბილისის მთელ რიგ სავაჭრო საწარმოებს. ისინი იყვნენ № 1 „გასტრონომში", პურფუნთუშეულის მაღაზიებში. სტუმრებმა აღნიშნეს, რომ № 1 „თბილტანსაცმელვაჭრობის" მაღაზიაში კარგად არის მოწყობილი ვაჭრობა. ამ მაღაზიის დირექტორმა ვ. შარაშენიძემ განაცხადა, რომ ამას წინათ აქ დაიწყო მზა ტანსაცმლის ვაჭრობა, რასაც მაღაზიის შეკვეთით ამზადებენ ადგილობრივი სამკერვალო ფაბრიკები.

ჩეხოსლოვაკიის ვაჭრობის მუშაკები გაეცნენ აგრეთვე „ქსოვილვაჭრობის" № 1 მაღაზიის მუშაობას. ჩვენ ვყიდით 65 არტიკულის ქსოვილებს, თქვა მაღაზიის დირექტორმა შ. ცქიტიშვილმა. ამ ქსოვილებს ამზადებენ რესპუბლიკის საფეიქრო საწარმოები. სტუმრებს მოეწონათ „კაფე მეტრო".

საქინფორმის კორესპონდენტმა სთხოვა ჩეხოსლოვაკიის საშინაო ვაჭრობის მინისტრს უგერ ინდრჟიხს ეთქვა, თუ როგორია მისი პირველი შთაბეჭდილებანი.

— ჩვენ გვინდა აღვნიშნოთ, — თქვა მან, — რომ თქვენთან კარგად არის მოწყობილი ვაჭრობა. ყურადღებას იპყრობს ფართო ასორტიმენტის საქონელი, მისი ხარისხი. საყურადღებოა ისიც, რომ ყველგან იყენებენ ვაჭრობის პროგრესულ ფორმებს.

უგერ ინდრჟიხმა ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ვაჭრობის მოწინავე გამოცდილების გაზიარებას.

დელეგაციის წევრებთან ერთად თბილისის სავაჭრო საწარმოებს ეწვია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ვაჭრობის სახელმწიფო კომიტეტის პირველი მოადგილე ს. ა. ტრიფონოვი.

(საქინფორმი).

ჩვენი ღიად

# გაზაფხული

მინდვრებსა და პლანტაციებში



ლაგოდეხის რაიონის სოფელ ლელიანის ენგელსის სახელობის კოლმეურნეობა წელს სიმინდს 160 ჰექტარზე დათესავს. უკვე დათესილია 90 ჰექტარი. თესვაში დაწინაურდა ტრაქტორისტი ო. ჰუმბურიძე.

სურათზე: სიმინდს თესავს ტრაქტორისტი ო. ჰუმბურიძე; მარცხნივ — კოლმეურნეობის თავმჯდომარე გ. ჩარაიძე და აგრონომი რ. გელაშვილი ამოწმებენ სათესლე სიმინდის ხარისხს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## ნატანებლები კისრულობენ

მალე დაიწყება ჩაის ფოთლის კრეფა. ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის (მახარაძის რაიონი) მეჩაიეები მომზადებული ხვდებიან ახალ სეზონს. პლანტაციების მისასვლელი გზები ყველგან წესრიგშია. სადრენაჟო არხები გაწმენდილია. საკმაო რაოდენობით არის კალათები და სატრანსპორტო ყუთები. მათი ვალდებულებაა წელს მოკრიფონ 3.021 ტონა ხარისხოვანი ფოთოლი.

# როგორ მიმდინარეობს საგაზაფხულო კულტურების თესვა?

## ჩვენი მიმოხილვა

საგაზაფხულო კულტურების თესვა ახლა ერთ-ერთი ძირითადი სამუშაოა. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ათი აპრილის ცნობებით, წითელწყაროს რაიონის მხვნელ-მთესველებს საგაზაფხულო კულტურები დათესილი აქვთ 9.457 ჰექტარი, რაც გეგმის 61,7 პროცენტს შეადგენს.

თესვის ფრონტი ფართოდ არის გაშლილი სიღნაღის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. აქაურმა მხვნელ-მთესველებმა საგაზაფხულო კულტურები უკვე დათესეს 6.815 ჰექტარი, აქედან მარტო კოლმეურნეობებში — 6.591 ჰექტარი. სულ თესვის გეგმა შესრულებულია 67,5 პროცენტით.

საგარეჯოს რაიონში ყოველდღე მატულობს თესვის ტემპი. კოლმეურნეობებმა და კოლმეურნე მექანიზატორებმა საგაზაფხულოდ დათესეს 4.886 ჰექტარი. გორის რაიონის მხვნელ-მთესველების მიერ საგაზაფხულო კულტურები უკვე დათესილია 2.996 ჰექტარი.

გაზაფხულის ხელსაყრელ ამინდებს კარგად იყენებენ კასპის რაიონში. აქ დაითესა 2.565 ჰექტარი სხვადასხვა სახის კულტურები.

მინდვრის სამუშაოთა ფრონტი ყოველდღე მატულობს გურჯაანის რაიონში.

საგაზაფხულო კულტურების თესვა მასობრივად გაჩაღდა ქარელის, გარდაბნის, ახალციხის, ხაშურის, თელავის, ახმეტის, ყვარლის, ლაგოდეხის, მცხეთის, მარნეულის, ბოლნისის, დუშეთის, თეთრი წყაროს, წყალტუბოს, ვანის, დმანისის, მაიაკოვსკის, თერჯოლის, საჩხერის, ხობის რაიონებში, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

სულ საქართველოს რესპუბლიკაში 10 აპრილისათვის დათესილია 49.034 ჰექტარი საგაზაფხულო კულტურები, აქედან მარტო კოლმეურნეობებში — 36.456 ჰექტარი.

## სწრაფი ტემპით

წყალტუბო. (საკ. კორ.). დროს უქმად არ კარგავენ წყალტუბოს რაიონის გეგუთის მეფრინველეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის მუშები და სპეციალისტები. გათვალისწინებული 314 ჰექტარიდან ბოსტნეული უკვე დათესილი და დარგულია 229 ჰექტარზე. დაიწყეს სიმინდის თესვაც. მარტო ერთ დღეს მექანიზატორთა კომპლექსურმა ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი გ. რევიშვილი უძღვება, 50 ჰექტარი სიმინდი დათესა.

## უპატაკებენ სამშობლოს

△ რუსთავი. (საკ. კორ.). სამშენ მასალათა კომბინატს, რომელიც უშვებს წიდაბამბას, პერლიტს, ფენოლით შეკრულ ლეიბებს და სხვა პროდუქციას, რასაც მშენებლობაში იყენებენ, ახლახან შეემატა კიდევ ერთი ობიექტი — თაბაშირის საამქრო. მან უკვე გამოუშვა პირველი პროდუქცია. ახალი საამქროს წლიური წარმადობა 85.000 ტონა თაბაშირი იქნება. რუსთავს გარდა, აქ გამოშვებულ პროდუქციას დიდი რაოდენობით გამოიყენებენ რესპუბლიკის სხვა მშენებელი ორგანიზაციები.

△ თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის" კოლექტივმა წარმატებით შეასრულა პირველი კვარტალის დავალება და გეგმის გადაჭარბებით 14 ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა.

ამ საერთო გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სატვიფრო საამქროს კოლექტივმა, რომელმაც 108 პროცენტით გაანაღდა კვარტალის გეგმა.

ახლახან აქ საექსპლოატაციოდ გადაეცა „31-34" ტიპის ელექტროავტომატების ასაწყობი კონვეიერი, რომლის დანერგვამ ორჯერ გაზარდა შრომის ნაყოფიერება.

ზ. სისაური.

△ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ახალი ძალით გააჩაღეს სოციალისტური შეჯიბრება ვანის რაიონის მშრომელებმა. მათ 1 აპრილისათვის დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ხეხილის ბაღების გაშენების გეგმები.

გაშენებულია 263 ჰექტარი ხეხილის ბაღი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 200 ჰექტარისა.

## მექანიზატორ გ. სიხაშვილის წარმატება

ქარელი. (სპეც. კორ.). სწრაფად და მაღალხარისხოვნად ითესება შაქრის ჭარხალი, ბოსტნეული და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები. ქარელელთა პირობა იყო, — განაცხადა საუბარში საქართველოს კომპარტიის ქარელის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. მაღალაშვილმა, — საგაზაფხულო ქერი დაგვეთესა 800 ჰექტარი. შრომის სწორად მოწყობის შედეგად აღნიშნული სამუშაო შესრულებულია 961 ჰექტარზე. დაითესა აგრეთვე შაქრის ჭარხალი 1.040 ჰექტარი. სულ დასათესია 1.256 ჰექტარი.

სოფელ ქარელის კოლმეურნეობაში ყველა უქებს მარჯვენას მექანიზატორ გ. სიხაშვილს. მან ერთ დღეს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 8 ჰექტარისა, შაქრის ჭარხალი დათესა 12 ჰექტარი. სოფელ ქარელის კოლმეურნეებმა რაიონში პირველებმა ყველაზე ადრე შეასრულეს შაქრის ჭარხლის თესვის გეგმა.

საგაზაფხულო სამუშაოებში დაწინაურდნენ ზემო ხვედურეთის, რუისის და სხვა სოფლების კოლმეურნეობები.

# ბაჰრეინი გლოვობს

კაირო, 13 აპრილი. (საქინფორმი). მუსლიმანური იდ ალ-ადჰის დღესასწაულის დროს ბაჰრეინის არაბთა მოსახლეობამ გუშინ მოაწყო სამგლოვიარო მსვლელობა იმ ეროვნულ გმირთა ხსოვნის აღსანიშნავად, რომლებიც ინგლისელმა კოლონიზატორებმა დახოცეს.

ინგლისელ იმპერიალისტთა მხეცობა და რეპრესიები ბაჰრეინში არაბი ხალხის, საზოგადოებრივი და სხვა ორგანიზაციების აღშფოთებას იწვევენ. ბაჰრეინის მშრომელებმა მოაწყვეს მასობრივი დემონსტრაცია კოლონიურ ხელისუფალთა ტერორის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. დემონსტრანტთა წინააღმდეგ პოლიციამ გამოიყენა იარაღი, რის შედეგად ბევრი დემონსტრანტი დაჭრეს.

აღშფოთებულმა დემონსტრანტებმა მანამას რაიონში დაწვეს რამდენიმე ავტომანქანა, რომლებიც ინგლისელ ოფიცრებს ეკუთვნოდა.

„ბადიხის" სასამართლოს შენობაში, სადაც განაჩენი გამოუტანეს ეროვნული განთავისუფლებისათვის ბევრ მებრძოლს, აფეთქდა ბომბი, შენობის დიდი ნაწილი დაინგრა. ბაჰრეინის პროგრესულ ძალთა ეროვნულმა ფრონტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მოუწოდებს ბაჰრეინის ყველა ვაჭარს დახურონ მაღაზიები ინგლისელ ხელისუფალთა თვითნებობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. იორდანიის ადვოკატთა პროფკავშირმა პროტესტის დეპეშა გაუგზავნა ბაჰრეინის ხელისუფალთ, რომელშიც გმობს ინგლისის ტერორისტულ მოქმედებას და მხარს უჭერს სამშობლოს თავისუფლებისათვის მებრძოლ ბაჰრეინელ ხალხს.

## თავს დაესხნენ ნიგერის პრეზიდენტს

კოტონუ, 13 აპრილი. (საქინფორმი). დღეს დილით თავს დაესხნენ ნიგერის რესპუბლიკის პრეზიდენტს ამანი დიორის. აქ მიღებული ცნობებით, თავდასხმა მოხდა ნიგერის დედაქალაქ ნიამეის მეჩეთში, სადაც ამანი დიორი იმყოფებოდა. პრეზიდენტისათვის ნასროლმა გრანატამ მოკლა იქვე მდგომი ბავშვი და დაჭრა რამდენიმე კაცი. პრეზიდენტი ამანი დიორი არ დაზარალებულა.

# ახალი ძალებით

ნიუ-იორკი, 13 აპრილი. საქინფორმის კორესპონდენტი ჰარი ფრიმენი გვატყობინებს: თუმცა ვაშინგტონი აცხადებს ვიეტნამში მშვიდობის დამყარება მსურსო, იგი არათუ განაგრძობს მეკობრულ თავდასხმებს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე, არამედ დამატებით ჯარებსა და მძიმე არტილერიასაც გზავნის სამხრეთ ვიეტნამში და ამრიგად აფართოებს ომს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო სამხრეთ ვიეტნამიდან იუწყება, გუშინ და-ნანგში, ვიეტნამში სამხედრო ძალების გაზრდის გეგმის შესაბამისად, გადმოტვირთეს ამერიკული ქვემეხები და ტანკები. გადაწყვეტილება ამის შესახებ ამ ცოტა ხნის წინათ მიიღეს იმ დროს, როცა ვაშინგტონში ვიზიტად იყო ამერიკის საიგონელი ელჩი გენერალი ტეილორი.

საზღვაო ქვეითი ჯარის კორპუსის წარმომადგენელმა ასოშიეიტედ პრესის კორესპონდენტს განუცხადა, რომ მას შემდეგ, რაც ეს იარაღი ჩაიტანეს, ამერიკის შეიარაღებულმა ძალებმა ვიეტნამში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე დიდი საარტილერიო შენაერთები მიიღო, რომელიც ერთ სარდლობას ემორჩილება.

სამხრეთ ვიეტნამში ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის მესამე ბატალიონის გადასხმის შემდეგ გუშინ ნაპირზე გადატვირთეს 8 დიუმიანი ჰაუბიცების ბატარეა და 105 მილიმეტრიანი ქვემეხების ბატარეა. მალე უნდა ჩავიდეს მეოთხე ბატალიონი.

როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტო იტყობინება, როცა და-ნანგის რაიონში თავს მოუყრიან ოთხივე ბატალიონს, მათ განკარგულებაში იქნება 105 მილიმეტრიანი ქვემეხების ოთხი ბატარეა, 155-მილიმეტრიანი ჰაუბიცების ერთი ბატარეა და 8 დიუმიანი ჰაუბიცები.

ვაშინგტონიდან იტყობინებიან, რომ პენტაგონი მალე მსროლელთა ნაწილებს—1.100 კაცს გაგზავნის ვიეტნამში თითქოს იმისათვის, რომ განამტკიცოს „უშიშროება" სამხრეთ ვიეტნამის 75 პუნქტში, სადაც დაბანაკებული არიან ამერიკის შეერთებული ძალები. ეს ცნობაც იმის ნიშანია, რომ შეერთებული შტატები აფართოებენ ომს ვიეტნამში.

## ვისთვის არის სასარგებლო

ლონდონი, 13 აპრილი. (საქინფორმი). 313 ხმით 294 ხმის წინააღმდეგ, ესე იგი 19 ხმის უმრავლესობით, გუშინ თემთა პალატამ მოიწონა ინგლისის 1965-66 საფინანსო წლის ბიუჯეტის პროექტი.

ახალი ბიუჯეტის მთავარი ნიშანი, აღნიშნავს გაზეთი „დეილი უორკერი", ის არის, რომ „სასარგებლოა მდიდრებისათვის და საზიანოა ღარიბებისათვის".

## პარტიული ცხოვრება

### სკკპ ცკ-ის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

# ვიანგარიშოთ, ვიმოქმედოთ!

დიდი ქართველი მგოსანი ვაჟა-ფშაველა თავის ერთ ფელეტონში წერდა:

„მაშ ვიწამოთ სიცოცხლისა და გაზაფხულის ერთგვარობა, ერთბუნებოვნობა, უსიცოცხლოდ გაზაფხულს ვერ ვგრძნობთ ისე, როგორც უგაზაფხულოდ სიცოცხლეს, გაზაფხული მქნელი, მშობელია სიცოცხლისა, სიცოცხლე მინდვრად, სიცოცხლე ტყეში, სიცოცხლე ზღვაში, წყალში, სიცოცხლე ცაში“.

დიახ რომ გაზაფხული დიდად ახარებს ადამიანის გულს.

ასე იყო ყოველთვის, ასეა ახლაც, მაგრამ სულ სხვაა ახლანდელი გაზაფხული. საბჭოთა ადამიანები დიდი სიხარულით და შემოქმედებითი შთაგონებით არიან გამსჭვალულნი. ეს განსაკუთრებული შრომითი აღმაფრენა გამოწვეულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის მარტის პლენუმით, რომელმაც დასახა ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გადაუდებელი ღონისძიებანი.

ჩვენი რაიონის სოფლებში, რომლებიც კავკასიონის მრისხანე მთების უბე-კალთებში არიან გაფანტული, კოლმეურნე მწყემსები, მწველავები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, ყველა კომუნისტი თუ უპარტიო, ახალგაზრდა თუ მოხუცი უდიდესი ინტერესით და ერთსულოვანი მოწონებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ისინი მათში ხედავენ თავიანთი ფიქრებისა და ოცნებების განხორციელების საწინდარს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა ლენინური პირდაპირობითა და პრინციპულობით გამოამჟღავნა უკანასკნელ წლებში სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობაში დაშვებული შეცდომები და ამავე დროს დასახა ისეთი გადაუდებელი ღონისძიებანი, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ მნიშვნელოვნად გავაუმჯობესოთ მდგომარეობა სოფლის მეურნეობაში.

დუშეთის რაიონის მშრომელები პირობას დებენ, რომ პარტიის ზრუნვას უპასუხებენ ახალ-ახალი შრომითი წარმატებებით, წელსვე მიაღწევენ სერიოზულ წარმატებებს მეურნეობის ისეთ რთულ დარგებში, როგორიც არის მეცხოველეობა და, კერძოდ, მომთაბარე მეცხვარეობა.

უფრო გასაგები რომ იყოს მთიელი კოლმეურნეების კმაყოფილება მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა გამო, მოვიყვან რამდენიმე ფაქტს. დიდი მნიშვნელობა აქვს მეცხოველეობის პროდუქტების შესყიდვისა და დამზადების ფასების გადიდებას, რასაც პლენუმის გადაწყვეტილებები ითვალისწინებს. **რაიონის მთის ზონის კოლმეურნეობები ერთი წლის განმავლობაში სახელმწიფოსათვის ხორცის მიყიდვით დამატებით მიიღებენ 552 ათას მანეთზე მეტს, ამას უნდა დაემატოს აგრეთვე რძისა და მარცვლეულის გაყიდვიდან მიღებული დამატებითი თანხები.**

უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, მარტო გუდამაყრის კოლმეურნეობას ჩამოეწერება 139 ათასი მანეთი გრძელვადიანი სესხი, ამას გარდა, ხორცის შესყიდვიდან კოლმეურნეობა დამატებით მიიღებს 201 ათას მანეთს, სულ არტელის ფულადი შემოსავალი გაიზრდება 340 ათასი მანეთით, აქ არ შედის რძის გაყიდვით მიღებული დამატებითი თანხები. ეს იმას ნიშნავს, რომ **ნაცვლად ერთი მანეთისა და 20 კაპიკისა, კოლმეურნეობას შეუძლია მიმდინარე წელს თვითეულ შრომადღეზე გაანაწილოს ორი მანეთი და თორმეტი კაპიკი.**

ძნელია თუნდაც მოკლედ ჩამოთვლა პლენუმის მიერ გათვალისწინებული ღონისძიებებისა, რომლებიც სერიოზულად განამტკიცებენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, აძლევენ მათ რენტაბელობას, ამაღლებენ კოლმეურნეთა დაინტერესებას საკუთარი შრომით.

გამოცდილებით ვიცით, თუ რა ზიანი მოჰქონდა დაგეგმვის ძველ პრაქტიკას, როცა იგი წელიწადში 2-3-ჯერ იცვლებოდა. ეს უარყოფითად მოქმედებდა პროდუქტების წარმოებისა და დამზადების მსვლელობაზე. ამჟამად წესდება წარმოებისა და დამზადების მტკიცე გეგმები მთელი რიგი წლებისათვის. საჭიროა კოლმეურნეობაში გეგმის შედგენისას გამოიჩინონ დიდი პასუხისმგებლობა, რომ გეგმები შედგეს სწორად, საქმის ცოდნით, რომლებშიც ჰარმონიულად იქნება შეთავსებული სახელმწიფოსა და კოლმეურნეობის ინტერესები.

როცა კითხულობ პლენუმის მასალებს, გგონია ჩვენი რაიონის სინამდვილიდან აუღიათ ფაქტებიო. სწორედ ცხოვრებისეული სიმართლის საფუძველზეა შემუშავებული ის გადაუდებელი ღონისძიებანი, რომლებიც პლენუმმა სოფლის მეურნეობის მუშაკებს დაუსახა.

ჩვენ ახლა შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ ორ-სამ წელიწადში ჩამორჩენილ კოლმეურნეობებს ავიყვანთ მოწინავეთა დონემდე, მკვეთრად გავზრდით სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებას. ამისათვის დაგვჭირდება ავამაღლოთ თვითეული კომუნისტის, თვითეული მუშაკის პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი, სწორად უნდა შევარჩიოთ და გავანაწილოთ ხელმძღვანელი საკოლმეურნეო კადრები.

ამ მხრივ სერიოზული ნაკლოვანებები გვაქვს. რაიონის ზოგიერთი მეურნეობის ხელმძღვანელი, პარტორგანიზაციის მდივანი, სოფლის მეურნეობის სპეციალისტი სრული დატვირთვით როდი მუშაობს, ვერ ამართლებს იმ დიდ ნდობას, რაც მას ხალხმა გამოუცხადა, ზოგან არ იცავს საკოლმეურნეო დოვლათს, მუშაობს ხელჩაქნევით და ამით სერიოზულ ზიანს აყენებს საერთო-სახალხო საქმეს. ამის შედეგია, რომ რაიონში მეცხოველეობა ჩამორჩება, ნელი ტემპით იზრდება საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა.

გეგმების შეუსრულებლობა, წარმოების დაბალი დონე, პროდუქციის მაღალი ღირებულება გამოწვეულია აგრეთვე იმით, რომ ნაკლები ყურადღება ექცევა მტკიცე საკვები ბაზის შექმნას, დაბალია ზოოვეტმომსახურების დონე, სწორად არ არის შეხამებული საზოგადოებრივი და პირადი მეურნეობის ინტერესები, გამოუყენებელია წარმოების გადიდების შიდა რეზერვები და რესურსები.

ამ ნაკლოვანებათა გამოსწორება დამოკიდებულია პირველ რიგში პარტიის რაიკომზე, პირველადს ორგანიზაციებზე, მათ ცოცხალ ორგანიზატორულ მუშაობაზე, მასებში პარტიულ-პოლიტიკური საქმიანობის გაჩაღებაზე. ერთი სიტყვით, ეს ჩვენი საკუთარი საქმეა, და კიდევაც მივაღწევთ იმას, რომ პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებით, ყველა კომუნისტის აქტივობის ამაღლებით აღმოვფხვრათ ნაკლოვანებანი, რომლებიც ხელს უშლიან მეცხოველეობის მზარდ განვითარებას. მაგრამ არის საკითხები, რომელთა მოგვარება აღემატება ჩვენს ძალღონეს.

რაიონის კოლმეურნეობებს ყიზლარის ზამთრის საძოვრებზე უკავიათ 109 ათასი ჰექტარი საძოვარი, აქედან ვარგისია 89 ათასი ჰექტარი. სამწუხაროა, რომ უყურადღებობის შედეგად საძოვრების ნაწილი თანდათანობით უვარგისი ხდება. მასივების თითქმის მეოთხედი დაკავებულია ისეთი სარეველა ბალახით, როგორიც არის ბურლა (ვაციწვერა), რომელიც უვარგისად აქცევს საძოვრებს და ამავე დროს დიდ ზიანს აყენებს ცხვარს. მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობები და კოჩუბეის მეცხოველეობის სამანქანო სადგური არ იღებენ რაიმე ზომებს ამ სარეველის მოსპობისათვის.

ჩვენი აზრით, კოლმეურნეობებს გაუჭირდებათ ამ სარეველა ბალახის წინააღმდეგ ბრძოლა. სამისოდ საჭირო იქნება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და „საქსოფლტექნიკის“ რესპუბლიკურმა გაერთიანებამ მიიღონ ერთობლივი ღონისძიება.

ასეთივე მდგომარეობაა საზაფხულო იალაღებზე, რომელთა დიდი ნაწილი დაფარულია შხამა ბალახითა და ქვა-ღორღით. ამჟამად დუშელი მეცხოველეები საზაფხულო საძოვრების ნაკლებობას განიცდიან. ვფიქრობთ, შემდგომი ორგანოები დაგვეხმარონ ამ საკითხის მოგვარებაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე დიდი ადგილი დაეთმო სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცების საკითხს. გაიზარდა კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გადიდდა ტრაქტორების, სატვირთო ავტომანქანებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების პარკი. მაგრამ, როგორც პლენუმზე აღინიშნა, ჯერ კიდევ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები მთლიანად არ არიან უზრუნველყოფილნი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით.

ამ მხრივ ჩვენთან არასახარბიელო მდგომარეობაა. მეურნეობები განიცდიან ტრაქტორების, სხვა სასოფლო-სამეურნეო მანქანების სერიოზულ ნაკლებობას, განსაკუთრებით კი ავტოტრანსპორტისას. (მაგალითად, არღუნის, ლაფანაანთკარის, ჰოპორტის კოლმეურნეობები).

განა შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ რაიონის კოლმეურნეობებში მოსავლის აღება ორ თვემდე ჭიანურდება, ხოლო მზრალად ხვნა თითქმის სამ თვემდე?! ყოველივე ეს იწვევს დაბალ მოსავლიანობას და მარცვლეულის დანაკარგებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა დიდი ყურადღება დაუთმო კოლმეურნეობათა შემდგომი ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საკითხებს და ამ მხრივ დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი.

კოლმეურნეობების ეკონომიური და ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ისეთი საკითხების მოგვარებას, როგორიც არის შრომის ორგანიზაცია, შრომის დისციპლინა, დამატებითი შრომის ანაზღაურება და პრემიალური წამახალისებელი ღონისძიებანი.

რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში მოგვარებული არ არის შრომის ორგანიზაციისა და შრომის დისციპლინის საკითხები. აი ამის ერთი დამადასტურებელი მაგალითი. შარშან მთიულეთის კოლმეურნეობაში 850 შრომისუნარიანი წევრიდან შრომადღის სავალდებულო მინიმუმი არ გამოუმუშავებია 150 კოლმეურნეს, ხოლო სულ არ მიუღია მონაწილეობა საკოლმეურნეო შრომაში 101 კოლმეურნეს.

უნდა განვამტკიცოთ შრომის ორგანიზაცია და შრომის დისციპლინა კოლმეურნეობებში, ურომლისოდაც წარმოუდგენელია რაიმე სერიოზული წარმატების მიღწევა. ამ მხრივ, სამწუხაროდ, აქტიურად ვერ ვიყენებთ ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მდიდარ ფორმებს, ბევრ კოლმეურნეობაში საგიტაციო საუბრებს ხშირად მიზანსწრაფულობა აკლია.

სოფლის მეურნეობის განვითარების საქმეში დასახული ღონისძიებანი მოითხოვენ, რომ მკვეთრად ავამაღლოთ პარტიული ხელმძღვანელობის დონე. როგორც ცხოვრება გვიჩვენებს, მნიშვნელოვან წარმატებას აღწევენ იმ კოლმეურნეობებში, სადაც მაღალ დონეზე დგას პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა, სადაც კომუნისტები მთელი შეგნებით არიან ჩაბმულნი სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისათვის ბრძოლაში.

ბაზალეთის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის პარტიულ ორგანიზაციაში (კომიტეტის მდივანი ვ. ებიტაშვილი), სადაც 106 კომუნისტია გაერთიანებული, კარგად არის დაყენებული პარტიულ-ორგანიზატორული მუშაობა. საკოლმეურნეო შრომაში ჩაბმულია ყველა კომუნისტი. ისინი შრომის საუკეთესო მაგალითს იძლევიან. კოლმეურნეობაში სიმინდის საშუალო მოსავალმა გასულ წელს 30 ცენტნერი შეადგინა ჰექტარზე ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 20 ცენტნერისა. ასეთივე კარგი მაჩვენებლებია სხვა დარგებშიც.

ბაზალეთის კოლმეურნეობის ყველა გადამწყვეტ უბანს კომუნისტების მზრუნველი ხელი ატყვია, კომუნისტები არიან ახალი რეზერვების გამოვლინებისა და წარმოებაში მოწინავე მეთოდების დანერგვის ინიციატორები.

ამჟამად შორეულ კასპიისპირეთში მიმდინარეობს ცხვრის დოლი. უკვე მიღებულია 30 ათასამდე ჯანსაღი ბატკანი, რაიონის ტერიტორიაზე კი — საკოლმეურნეო მინდვრებში წარმატებით გრძელდება საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებული სოფლის მშრომელები იმისათვის იბრძვიან, რომ მოკლე ხანში დაძლიონ ჩამორჩენა, მკვეთრად გაზარდონ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოება.

**ა. შადური,**
საქართველოს კპ დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი.

# ისინი უსმენდნენ ბელადს

რისთვის გვიყვარს ლენინი? — სწორედ ასეთი იყო დღის წესრიგი იმ საინტერესო ღია პარტიული კრებისა, რომელიც ამ დღეებში ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის № 2 საქსოვი საწარმოს პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით გაიმართა.

მოხსენებით გამოვიდა საწარმოს პარტბიუროს მდივანი ნ. შუბლაძე. დიდი ლენინის გმირული ცხოვრებიდან აღებული ნათელი, შთამაგონებელი მაგალითებითა და კონკრეტული ფაქტებით მომხსენებელმა დამაჯერებლად უჩვენა კრების მონაწილეებს დიდი ბელადის ნათელი სახე.

— წარმოიდგინეთ, — მიმართა კრებას მომხსენებელმა, — რომ უკვდავი ლენინი ახლაც ჩვენთან არის, ჩვენს პარტიულ კრებას ესწრება და სიტყვას ამბობს.

და იმ წუთში ყველამ რადიორეპროდუქტორისაკენ მიაპყრო ყურადღება... ფეიქრებმა მთელ თავიანთ სიცოცხლეში პირველად, გაიგონეს დიდი ლენინის ხმა. რეპროდუქტორიდან მოისმა გრამოფონის ფირფიტებზე ჩაწერილი ბელადის სიტყვა „რა არის საბჭოთა ხელისუფლება“...

ლენინი ელაპარაკებოდა კრების მონაწილეებს ახალი ხელისუფლების არსზე, საბჭოებზე, როგორც მშრომელთა ყველაზე მასობრივ ორგანიზაციებზე.

„საბჭოთა ხელისუფლება ეს არის მშრომელი მასების მიერ [illegible] გზა სოციალიზმისაკენ და ამიტომ — უტყუარი და ამიტომ — უძლეველი გზა“...

როცა კრების მონაწილეებმა ვ. ი. ლენინის ეს სიტყვები მოისმინეს და რადიოთ ხმა მიწყდა, დარბაზში ტაში [illegible].

ტრიბუნაზე [illegible] ადიან ფეიქრები, ერთმანეთს ცვლიან კომბინატის წარმოების უფროსის მოადგილე ო. მერკვილაძე, მქსოველი ალ. გამყრელიძე, № 2 საქსოვი საწარმოს კომკავშირის კომიტეტის მდივანი ზ. მერკვილაძე, მქსოველი ლ. აბესაძე და სხვები. თვითეული მათგანი საინტერესოდ, ცოცხლად მოუთხრობს კრებას დიდი ლენინის მრავალმხრივი, ყოვლისმომცველი მოღვაწეობიდან აღებულ ცალკეულ საკითხზე და დასაბუთებულად ამთავრებს თავის სიტყვას: „აი რისთვის გვიყვარს ჩვენ ლენინი“...

ეს კრება, რომელიც ყოველმხრივ საინტერესო, მიზანსწრაფული და მისაბაძი იყო, მუდამ ეხსომებათ ქუთაისელ ფეიქრებს.

პარტიულმა კრებამ გადაწყვიტა, რომ თვითეულმა კომუნისტმა, თვითეულმა ფეიქარმა საუკეთესო მაჩვენებლებით აღნიშნოს ვ. ი. ლენინის დაბადების 95-ე წლისთავისადმი მიძღვნილი შრომითი ვახტი, დიდი ბელადის დაბადების დღისათვის — 22 აპრილისათვის უზრუნველყონ მიმდინარე წლის ოთხი თვის დავალების შესრულება.

**შ. ჯავახაძე,**
„კომუნისტის“ საკ. კორ.

# ტექნიკური პროგრესის ძალა

### სიახლეები ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობა რვა ათეულ წელზე მეტს ითვლის. რევოლუციამდე და მის შემდეგაც, როცა ჭიათურის საბადოს დამუშავებას უცხოელი კაპიტალისტები და კერძო მეწარმეები უდგნენ სათავეში, არავითარი ყურადღება არ ექცეოდა მუშაობის ნორმალური პირობების შექმნას. მადნის მოპოვება ხორციელდებოდა პრიმიტიულად, ხოლო მუშის შრომა მეტად უხალისო, მომქანცველი იყო.

1928 წლიდან, როცა ჩამოყალიბდა მარგანეცის ტრესტი და ჭიათურიდან წავიდნენ ამერიკელი კონცესიონერები, პირველი რიგის ამოცანად იქნა დასახული მაღაროებისა და გამამდიდრებელი ფაბრიკების ტექნიკური შეიარაღების გაუმჯობესება, ამის საფუძველზე შრომის ნაყოფიერების ზრდის უზრუნველყოფა, მშრომელთა მუშაობის პირობების მკვეთრად გაუმჯობესება. აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა ახალი მაღაროები, გამამდიდრებელი ფაბრიკები, დამხმარე საწარმოები. მათ შორის აღსანიშნავია ისეთი დიდი ობიექტები, როგორიც არის ლენინის სახელობის მაღარო, ახალი ითხვისის, დარკვეთის, მღვიმევი-ხრამის მაღაროები თავისი გამამდიდრებელი ფაბრიკებით, მერევისა და ზედა რგანის მაღაროები, ცენტრალური ელექტრომექანიკური სახელოსნო და ა. შ.

დიდი მოცულობის სამუშაოები მიმდინარეობს ჭიათურაში ამჟამადაც წარმოებაში. სიახლეთა დანერგვის, შრომატევადი სამუშაოების ავტომატიზაციის და მექანიზაციის, მუშაობის მეთოდების, მადნის გამდიდრების ტექნოლოგიის გაუმჯობესებისა და სრულყოფისათვის. ამ საქმეს ახლა დიდი ყურადღება ექცევა.

ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ თუ 1965 წლის ბოლოსათვის მადნის მოპოვების წილი ღია სამუშაოებით მადნის საერთო ამოღებაში უნდა გაზრდილიყო 23 პროცენტამდე, ღია სამუშაოთა ახალი უბნების მომზადებითა და ექსპლოატაციის დაწყებით, მოქმედი უბნების წარმადობის გაზრდით, ახალი მძლავრი ექსკავატორებისა და თვითსაცლელი ავტომანქანების მიღებით ეს დავალება ერთი წლით ადრე — 1964 წელს შესრულდა.

ცნობილია, რომ ჭიათურის მარგანეცის ტრესტის წამყვანი მაღაროს — ახალი ითხვისის მაღაროს კოლექტივი წლების განმავლობაში ჩამორჩებოდა, ვერ ასრულებდა სახელმწიფო დავალებას. ასეთი ჩამორჩენის ერთი მიზეზი ისიც იყო, რომ ფენის დამუშავება წარმოებდა შედარებით უფრო ნაკლებ წარმადი სპირაჯოების მეთოდით. მარგანეცის ტრესტის მუშაკებისა და მაღაროს ხელმძღვანელების ერთობლივი ღონისძიებით დამუშავების ასეთი მეთოდი შეიცვალა ლავებით დამუშავების მეთოდით, რამაც განაპირობა ამ მაღაროში ჩამორჩენისათვის თავის დაღწევა და საწარმოო გეგმების გადაჭარბებით შესრულება.

უკანასკნელ წლებში დიდი ყურადღება ექცევა სამთო გამონამუშევრების გამაგრების წარმოებას პროგრესული ახალი სახის სამაგრით. ინერგება ანკერული, ლითონის და ასაწყობი რკინაბეტონის ბიგებით გამაგრება. მიმდინარე წელს ამ პროგრესული სამაგრებით გათვალისწინებულია ათას მეტრამდე სამთო კაპიტალური და მოსამზადებელი გამონამუშევრების გამაგრება, რითაც დაიზოგება დიდძალი სამაგრი ხე-ტყის მასალა და წარმოებაც დიდ ეკონომიურ ეფექტს მიიღებს.

ცნობილია, თუ რამდენად შრომატევადია მიწისქვეშა სამთო სამუშაოები. მათი შესრულება მომუშავისაგან მოითხოვს დიდ ფიზიკურ შრომასა და ენერგიას. ჩვენს მაღაროებში მინიმუმამდე რომ შეგვემცირებინა ხელით მუშაობა, უკანასკნელ პერიოდში განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი საწარმოო პროცესების მექანიზაციისათვის.

ქალაქ კრივოი როგის ინსტიტუტის — „გიპრორუდმაშის“ კოლექტივისა და ჭიათურის საბადოს კოლექტივის ერთობლივი ღონისძიებებით შექმნილია მადნის სატვირთო მანქანა „მგლ-4“, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას მცირე 1,4 მეტრი სიმაღლის ფენებში. მოწესრიგებულია მანქანის სერიული დამზადება და მიმდინარე წლის მეორე-მესამე კვარტალში ჩვენი წარმოება მიიღებს 20 ცალ ასეთ მანქანას. ამ მცირეგაბარიტიანი სატვირთო მანქანის გამოყენებით მომავალი წლიდან მარგანეცის მადნის დატვირთვა იწარმოებს მხოლოდ სატვირთო მანქანებით და თუ წელს მექანიზებული დატვირთვა მიწისქვეშ მოპოვებული მთელი მადნის მხოლოდ 62 პროცენტის რაოდენობით ხორციელდება, მომავალი წლიდან მთელი 100 პროცენტით განხორციელდება.

გასულ წელს ჩვენს მაღაროებში წარმატებით ჩაბარა გამოცდა ამავე ინსტიტუტის მიერ შექმნილმა თვითმავალმა საბურღმა ურიკამ „უბე“-მ. ამ მანქანის გამოყენებით მბურღავების მძიმე და მომქანცველი ფიზიკური შრომა შეიცვლება მექანიზმის შრომით, ხოლო მექანიზმი იმუშავებს ღილაკებისა და სამართავი ბერკეტების საშუალებით.

მარგანეცის მრეწველობის მშრომელებმა უკვე მიმდინარე წელს უნდა მიიღონ ეს მეტად კარგი და საჭირო მანქანა. საბურღი ურიკის გამოყენებით მბურღავთა შრომის ნაყოფიერება სულ ცოტა 2,5-3-ჯერ გაიზრდება.

„გიპრორუდმაში“ ამჟამად ჩვენი დაკვეთით მუშაობს მთელი რიგი სხვა ახალი მანქანებისა და მექანიზმების შექმნაზე. მიმდინარე წელს გათვალისწინებულია საწარმოო გამოცდისათვის მივიღოთ მბურღავ-დამტვირთავი მანქანა, ხის ბიგების მექანიკურად დამდგმელი მანქანა, ბუნკერ-მატარებელი, გამონამუშევართა ბეტონით გამაგრებისათვის საჭირო მექანიზმების კომპლექსი და გვირაბგამყვანი კომბაინი.

სამწუხაროდ, „გიპრორუდმაშის“ ინსტიტუტი ამ სამუშაოებს ძალზე ნელი ტემპით აწარმოებს და ბოლო ხანებში სამუშაოთა დამთავრების ვადებსაც არღვევს.

სასარგებლო შრომას ეწევა მოსკოვის ინსტიტუტის „გიპროუგლემაშის“ საქართველოს ფილიალი, რომელიც ჭიათურაშია. ფილიალის კოლექტივმა საგულდაგულოდ ჩვენი პირობებისათვის შექმნა ორდოლიანი გადამტვირთი მექანიზმი — „პლმ-1“, რომლის გამოცდამაც კარგი შედეგები გვიჩვენა. მიმდინარე წელს 20 ასეთი გადამტვირთი დამზადებული იქნება ქუთაისის მცირეგაბარიტიანი ტრაქტორების ქარხანაში. წარმოებაში მათი დანერგვით შესაძლებელი გახდება გვირაბებში ჩქაროსნული გაყვანის განხორციელება, რაც თავის მხრივ გაზრდის შრომის ნაყოფიერებას და მოგვცემს კარგ ეკონომიურ ეფექტს.

ამავე ფილიალის კოლექტივის მიერ შექმნილია აგრეთვე სპეციალური მომხვეტი ტრანსპორტიორი, რომლის გამოცდამაც წარმატებით ჩაიარა. ამჟამად ინსტიტუტის საექსპერიმენტო ქარხანაში აკეთებენ სპეციალურ დამტვირთ მანქანას, რომელიც კონსტრუირებული ნახშირის კომბაინ „კ-52 მ“ ბაზაზე. ამ მანქანის მიღების შემდეგ შესაძლებელი იქნება ახალ მექანიზმთა კომპლექსის საწარმოო გამოცდის დაწყება, მაგრამ აქაც უნდა ითქვას, რომ ეს მეტად საჭირო სამუშაოები ჭიანურდება, რაც არასასურველია.

მაღარო ახალი ითხვისის საზიდ გამონამუშევრებში ჩვენ მიერ დამონტაჟებულია ინსტიტუტ „გიპროშახტის“ მიერ დაპროექტებული ავტომატურად მოქმედი სავენტილაციო მისახურავ-გასაღები კარი. ამავე ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად ამ დღეებში მოეწყო ასეთი კარის გამოცდა, რამაც დადებითი შედეგი მოგვცა. იმედია, ავტომატურად მოქმედი სავენტილაციო კარის ხანგრძლივი დროით გამოცდა დაადასტურებს მის ვარგისიანობას, რის შემდეგაც იგი ჩვენს საწარმოებში დაინერგება. ეს კი გამოათავისუფლებს მუშახელს და, რაც მთავარია, გააუმჯობესებს მაღაროების განიავების ხარისხს.

მნიშვნელოვან სამუშაოთა შესრულება გათვალისწინებული წელს მარგანეცის გამამდიდრებელ ფაბრიკებში. ჯერ კიდევ 1963 წელს პირველად მარგანეცის მრეწველობაში განხორციელდა პეროქსიდების გამამდიდრებელი ფაბრიკის მექანიზმთა ავტომატური მართვა, რაც დაპროექტებული იყო რუსთავის ინსტიტუტ „ავტომატმრეწვის“ მიერ. ამ ღონისძიების განხორციელებით მიღწეულია ფაბრიკის ნორმალური მუშაობა, გაიზარდა მექანიზმების წარმადობა, ამაღლდა მაღალი ხარისხის მადნის გამოსავლიანობა, გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, რამაც წლიურად 35-40 ათასი მანეთი ეკონომია მოგვცა.

გასულ წელს დარკვეთის ახალ გამამდიდრებელ ფაბრიკაში განხორციელდა რუსთავის ინსტიტუტ „ავტომატმრეწვის“ მიერ დაპროექტებული საწარმოო ტელევიზია. დისპეტჩერ-ოპერატორს საწარმოო ტელევიზიის საშუალებით შეუძლია თვალყური ადევნოს საწარმოო პროცესებს, მართოს ისინი სადისპეტჩერო შენობიდან გამოუსვლელად. საწარმოო პროცესების ოპერატიულმა მართვამ გაზარდა მექანიზმების წარმადობა, აღკვეთა მათი მოცდენა.

გასულ წელს ორ გამამდიდრებელ ფაბრიკაში განხორციელდა მექანიზმების ავტომატურად შეზეთვა, რამაც მინიმუმამდე დაიყვანა მექანიზმთა ავარიებით გამოწვეული მოცდენა.

წელს გათვალისწინებულია № 29 გამამდიდრებელი ფაბრიკის მექანიზმების გადაყვანა ავტომატურ მართვაზე, აქვე განხორციელდება საწარმოო ტელევიზია. სათანადო სამონტაჟო სამუშაოები უკვე დაწყებულია და წარმატებით მიმდინარეობს.

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამთო ელექტრომექანიკური კათედრის თანამშრომლებთან ერთად მიმდინარე წლის განმავლობაში გათვალისწინებული გვაქვს ექვსი საჰაერო საბაგირო გზის გადაყვანა ავტომატურ მართვაზე. ამ სამუშაოთა განხორციელება არავითარ ეჭვს აღარ იწვევს.

დიდი ყურადღება ექცევა ღარიბი მადნების გამდიდრების საკითხებს. ამ მიზნით ცენტრალურ დამყვან ფაბრიკასთან დამონტაჟებულია სპეციალური საფლოტაციო საამქრო, სადაც წარმოებდა სათანადო ცდები მე-4 ხარისხის მადნისა და შლამებისაგან კონცენტრატის მისაღებად. ცდებმა სასურველი შედეგი გამოიღო, და საამქრო დღეისათვის საკმაო რაოდენობით იძლევა ფლოტოკონცენტრატს. ამ შედეგების მიხედვით შესაძლებელი გახდა სპეციალური საფლოტაციო ფაბრიკის მშენებლობის დაწყება.

მაგრამ ყოველივე ეს ვერ გვაკმაყოფილებს. ტექნიკური პროგრესის გზაზე უფრო სწრაფი წინსვლის უზრუნველსაყოფად ჩვენმა ტრესტმა 30 თემა გადასცა დასამუშავებლად და გადასაწყვეტად საბჭოთა კავშირის სხვადასხვა სამეცნიერო-საკონსტრუქტორო და საპროექტო ინსტიტუტებს. მიღებულია ცნობები, რომ ამ ინსტიტუტების უმრავლესობა უკვე შეუდგა მუშაობას.

**მ. აფაქიძე,**
ჭიათურის მარგანეცის ტრესტის მთავარი ინჟინერი.

## გმირთა პატივსაცემად

△ **ქ. ტყიბულის** პირველ საშუალო სკოლაში მოწყობილია „საბრძოლო დიდების“ ოთახი ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების მე-20 წლისთავის აღსანიშნავად. მოსწავლეებმა უკვე შეაგროვეს საინტერესო მასალები ტყიბულელი საბჭოთა კავშირის გმირების გრიგოლ გაბრიაძის, გალაქტიონ ალფაიძის, კირილე უკლებას, დიდი სამამულო ომის მრავალი სხვა მონაწილის შესახებ. მზადდება ფოტოსტენდი „ომის მონაწილე ჩვენი სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები“. სტენდს დაამშვენებს ბევრი მოსწავლის მშობელთა პორტრეტებიც.

ვ. გეწაძე.

△ **ზესტაფონის** რაიონის სოფელ შუა კვალითის სკოლის კოლექტივმა თბილი შეხვედრა მოუწყო დიდი სამამულო ომის ვეტერანებს, ამავე სოფლის მკვიდრთ — თადარიგის კაპიტანს, რვა ორდენისა და მედლის კავალერს გერონტი გაბრიჭიძეს, აგრეთვე თადარიგის უმცროს მეთაურს ნიკოლოზ წიწილაშვილს და ამავე სკოლის მასწავლებელს ალექსანდრე ლურსმანაშვილს.

ი. მარაქველიძე.





თბილისის რაიონულ ელექტროსადგურში მიმდინარეობს მესამე ბლოკის მონტაჟი (სურათზე — მარცხნივ), რომლის სამუშაოები წელს უნდა დამთავრდეს. კომპლექსურმა ბრიგადამ, რომელსაც ს. ქიტუაშვილი (ქვემო სურათის ცენტრში) უძღვება, სასახელო შრომით გაითქვა სახელი. მშენებლობაზე საუკეთესო შემდუღებლად ითვლება ევდოკია პეჩენაია, ანატოლ კრავჩენკო კი ქალაქ შახტის ენერგეტიკული ტექნიკუმის სტუდენტია და აქ საწარმოო პრაქტიკას გადის.

ფოტო ვ. კიკვაძისა და ს. თევზაძისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

# ვუპასუხოთ ეპოქის მოთხოვნებს

### დიადი თარიღების შესახვედრად

ბრიუსელში ბელგია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მიერ მოწყობილ შეხვედრაზე ვიყავით. დარბაზში თითო ჭიქა ყავას შემომსხდარნი ვსაუბრობდით ლიტერატურასა და მის დანიშნულებაზე. ბელგიელი მწერლები გვეკითხებოდნენ საბჭოთა ლიტერატურის მიღწევებზე, საბჭოთა მწერლის მატერიალურ მდგომარეობაზე, საბჭოთა კავშირის ეროვნულ მწერლობათა საკითხებზე.

საბჭოთა მწერლების დელეგაციაში იყვნენ რუსები, ქართველები, აზერბაიჯანელები, ესტონელები. ყველანი ვუპასუხებდით შეკითხვებს. არასოდეს არ დამავიწყდება ის შინაგანი სიამაყე, გამოწვეული ჩვენი სინამდვილითა და ლიტერატურის დღევანდელობით, რაც ყოველი ჩვენგანის პასუხიდან გამოსჭვიოდა.

სიტყვით გამოსულმა ერთ-ერთმა ბელგიელმა მწერალმა მადლობა გადაგვიხადა. ეს მადლობა ეკუთვნოდა მთელ მრავალეროვნულ საბჭოთა მწერლობას, რომელიც მაღლა ატარებს კაცთმოყვარეობის, ხალხთა ძმობის, მეგობრობისა და მშვიდობის დიად დროშას. მან სამართლიანად აღნიშნა, რომ ამ უკეთილშობილურესი იდეალებით გასხივოსნებულია საბჭოთა ლიტერატურის მთელი გზა.

მთელმა საბჭოთა მრავალეროვნულმა მწერლობამ და ამ მწერლობის ერთ-ერთმა მოწინავე რაზმმა — ქართულმა მწერლობამ თითქმის ნახევარი საუკუნის მანძილზე დიდი და სახელოვანი გზა განვლო. უდიდესი, საუკუნეობრივი ტრადიციების მქონე ქართული მწერლობა ოქტომბრის პირველი დღეებიდანვე უყოყმანოდ დადგა სოციალიზმის მშენებელი ხალხის მხარეზე და ამ ხნის მანძილზე ღირსეულად ასრულებს ხალხის გრძნობათა და მისწრაფებათა, ოცნებათა და მიზანთა გამომხატველის საპატიო დანიშნულებას.

დიახ, ქართულმა საბჭოთა მწერლობამ დიდი და სახელოვანი გზა განვლო. ამის ერთ-ერთი დადასტურება ისიც გახლავთ, რომ ქართველ მწერალთა ნაწარმოებები სიყვარულით სარგებლობენ არა მარტო საბჭოთა კავშირში. ახლა ქართველი მწერლების ნაწარმოებები იცემა საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში, დაწყებული სოციალისტური ბანაკის ქვეყნებიდან შორეულ ავსტრალიამდე. ყოველივე ეს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის, ლენინიზმის ყოვლისშემძლე იდეების გამარჯვების მკაფიო დემონსტრაციაა, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური ზრუნვის შედეგია.

პარტიისა და მთავრობის უდიდესი ზრუნვის გამომხატულებაა ისიც, რომ საქართველოში პირველად ჩვენი ისტორიის მანძილზე დაწესდა შოთა რუსთაველის სახელობის პრემიები. და რა სიმბოლურია ქართველი ხალხისათვის ის მოვლენა, რომ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის დღესასწაულის წინა წელს, 1966 წელს, ქართველი ხალხი, მთელს მოძმე საბჭოთა ხალხებთან და მსოფლიოს პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად იზეიმებს ჩვენი ეროვნული სიამაყისა და დიდების შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს.

დიდი და საამაყოა ქართული საბჭოთა ლიტერატურის მიღწევები. მაგრამ ჩვენ მართალი არ ვიქნებით არც ჩვენი ხალხის და არც საკუთარივე ჩვენი თავის წინაშე, თუ მთელი გულახდილობითა და პირდაპირობით არ ვიტყვით იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ჩვენ ამჟამად გვაქვს. სამართლიან შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ უკანასკნელი ათეული წლის მანძილზე ქართულ ლიტერატურაში ცოტა დაიწერა თანამედროვეობის ამსახველი ისეთი ფართო მასშტაბის ნაწარმოები, რომელსაც საკავშირო არენაზე ღირსეული სახელი მოეხვეჭოს. მაშინ, როცა კოლექტივიზაციის ჩამოყალიბებისა და სამამულო ომის წლებზე შექმნილმა ქართველ მწერალთა ნაწარმოებებმა სახელი გაითქვეს მთელს საბჭოთა კავშირში და სახელმწიფო პრემიებიც დაიმსახურეს. მიზეზებზე ლაპარაკი ახლა ძნელია, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება.

უკანასკნელი ათი-თხუთმეტი წლის მანძილზე ქართულ საბჭოთა მწერლობას შემომატა ახალგაზრდა ლიტერატორთა მძლავრი ნაკადი. ახალგაზრდებმა თან მოიტანეს თავიანთი თემატიკა, ცხოვრების თავისებური, ახალგაზრდულად ხედვა და ახალი, დღევანდელი ადამიანის ბუნების შეცნობის კარგი უნარი. ეს ბუნებრივიც არის, რადგან სწორედ ამ ახალგაზრდა მწერლების ასაკისა არიან ისინი, ვინც კოსმოსს იპყრობს, კიბერნეტიკის ურთულეს მანქანებთან შრომობს თუ ატომურ რეაქტორებში მეცნიერულ აღმოჩენებს ახდენს. მწერლობაში ახალგაზრდობის მოსვლა ყოველთვის წარსულის საუკეთესო ტრადიციების გაღრმავებას და ახლის აღმოჩენას ნიშნავს, და ეს ამდიდრებს მწერლობას. ჩვენმა ახალგაზრდა მწერლებმა მრავალი ღირსშესანიშნავი და საყურადღებო ნაწარმოები შექმნეს. ამაზე ბევრი ითქვა და ბევრი დაიწერა. მაგრამ უკვე ახლა შესამჩნევია დამაფიქრებელი მოვლენა, რაც შემოქმედებითი აღმავლობის ერთგვარ მოდუნებასა და შენელებაში გამოიხატება. საჭიროა ახალგაზრდა მწერლებმა, ჩვენს მწერალთა გამოცდილ გვარდიასთან ერთად კვლავ წამოსწიონ და მაღალ საფეხურზე აიყვანონ ის მოქალაქეობრივი პათოსი და მგზნებარება, რაც ჩვენი მწერლობის საუკეთესო ნაწარმოებებს ახასიათებს. აქ, რა თქმა უნდა, ლაპარაკია ისეთ ნაწარმოებებზე პროზაში, პოეზიასა და დრამატურგიაში, რომლებიც გამოგვიცემენ დღევანდელი ადამიანის ცხოვრებას, ფიქრებს, გრძნობებს, მის ყოფას, ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანის ფორმირების რთულ და ძნელ პროცესებს.

მწერალთა კავშირის ცხოვრებაში დიდი როლი განეკუთვნება შემოქმედებით სექციების მუშაობას. როგორც ცნობილია, სექციები ის ორგანიზმია, სადაც განიხილავენ ახალ ნაწარმოებებს, მწერლები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ მოსაზრებებს, გამოთქვამენ შენიშვნებს. სამწუხაროდ, საქართველოს მწერალთა კავშირის სექციების საქმიანობა მოდუნებულია. სექციების სხდომები შემთხვევიდან შემთხვევამდე თუ ეწყობა. შედარებით კარგად დაიწყო მუშაობა პოეზიის სექციამ. აქ რამდენჯერმე გაიმართა ახალი პოეტური ნაწარმოებების განხილვა, მაგრამ შემდეგ ამ სექციამაც შენელდა მუშაობა. სერიოზული ნაკლოვანებანი გააჩნია პროზისა და დრამატურგიის სექციების მუშაობას. დრამატურგთა სექციის არასაკმაო მუშაობის შედეგიცაა ის, რომ რახანია ჩვენი თეატრების სცენაზე არ დადგმულა თანამედროვეობის ამსახველი ფართო მასშტაბის ქართული ორიგინალური ნაწარმოები, რომელსაც მაყურებელი ფართო მოწონებით შეხვედროდეს.

აუცილებელია მწერალთა კავშირის შემოქმედებითმა სექციებმა გარდაქმნან მუშაობა. აქ უნდა გაჩაღდეს ნამდვილი შემოქმედებითი ატმოსფერო, ამხანაგური, პირდაპირი და გულწრფელი კრიტიკა. ამავე დროს საჭიროა ვიფიქროთ სექციათა მუშაობის ახალ ფორმებზე. ხომ არ იქნებოდა მიზანშეწონილი მოგვეწყო სექციების გამსვლელი სხდომები. მაგალითად, დრამსექციისა — თეატრებში, პოეზიის და პროზის სექციებისა — უმაღლეს სასწავლებლებსა ან ფაბრიკა-ქარხნებში და ა. შ.

ცალკე უნდა ვილაპარაკოთ მწერლისა და მკითხველის ისეთ ურთიერთობაზე, როგორიც არის მკითხველთან შეხვედრა. ეს შეხვედრები ხშირად შემთხვევითი ხასიათის ატარებს, შეხვედრები თითქმის ყოველთვის ერთ და იმავე ადამიანებთან ან ჯგუფთან ხდება, ისე რომ ამის შესახებ შემოქმედებითმა სექციებმა არაფერი იციან. გარდა ამისა, დამაფიქრებელია შეხვედრების ხარისხიც. რადგან ეს შეხვედრები ხშირად იუბილეს ან რაღაც მისი მსგავსის იერს ატარებს.

ამ ორიოდე წლის წინათ ქართველ მეცნიერთა ერთმა ჯგუფმა, ხოლო ცოტა მოგვიანებით სხვადასხვა ფაბრიკა-ქარხნების კოლექტივებმა „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოაქვეყნეს მიმართვა ქართველი მწერლებისადმი — მონაწილეობა მიეღოთ ჩვენი ფაბრიკა-ქარხნების ისტორიის შექმნაში. ეს, მართლაც, კარგი და კეთილშობილური წამოწყება იყო. ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებს დიდი რევოლუციური წარსული და შრომითი გმირობის ფურცლები აქვთ თავიანთ ისტორიაში. ამ საკითხს რამდენიმე მწერალიც გამოეხმაურა. მათ საზეიმოდ იკისრეს ვალდებულება, გაზეთშიც გამოაქვეყნეს, ამა და ამ ქარხნის ისტორიას ვწერთო, მაგრამ ყოველივე ეს ჯერჯერობით დაპირებად დარჩა.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს მწერალთა კავშირის განყოფილებათა მუშაობას. უაღრესად დიდი მნიშვნელობის ღონისძიება იყო საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმის გამსვლელი სხდომები აჭარასა და ოსეთში. უახლოეს ხანში პრეზიდიუმის გამსვლელი სხდომა მოეწყობა ქუთაისში. ეს უეჭველად შეუწყობს ხელს რესპუბლიკის რაიონებში მომუშავე მწერლების იდეურ-მხატვრული დონის ამაღლებას, გაუძლიერებს მათ შემდგომი მუშაობის სტიმულს.

ჩვენი მწერლობის უკეთილშობილურესი ამოცანაა მკითხველთა შორის პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, ხალხთა ლენინური ძმობისა და მეგობრობის სათუთად აღზრდა. საბჭოთა მწერლის ყოველ ნაწარმოებში უნდა გამოსჭვიოდეს ეს დიადი იდეალები. ჩვენი ხელოვნება ხალხს ეკუთვნის. არასოდეს ასე მკვეთრად არ მდგარა შემოქმედის წინაშე ხელოვნების ხალხურობის საკითხი, ხელოვნებისა, რომელიც გათვალისწინებულია მკითხველთა და მაყურებელთა უფართოესი ფენებისათვის.

ჩვენი ეპოქა უაღრესად მომთხოვნი და რთულია. საბჭოთა ხალხის მძლავრი შემოქმედებითი საქმეები რომ ღირსეულად ავსახოთ, საჭიროა ღრმად ჩავწვდეთ ცხოვრებას, ეპიკური სიძლიერით გამოვცეთ ამ ცხოვრების ყოველი მხარე.

მთელი ჩვენი მწერლობა ახალი, უდიდესი ამოცანების წინაშე დგას. მწერალთა კავშირის პარტორგანიზაციამ ჯერ კიდევ შარშან ზაფხულში თავის კრებაზე განიხილა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადების საკითხი, ხოლო ახლახან ამავე საკითხს მიეძღვნა საქართველოს მწერალთა კავშირის პლენუმი. ჩვენ მრავალი საინტერესო ღონისძიება გვაქვს დასახული. პარტორგანიზაციას განზრახული აქვს თავის კრებებზე სისტემატურად განიხილოს ამ დიადი თარიღისათვის მზადების მიმდინარეობა.

ეჭვი არ არის, რომ ქართული საბჭოთა მწერლობა შექმნის ჩვენი თანამედროვეობის შესაფერის ახალ ღირსშესანიშნავ ნაწარმოებებს და ღირსეულად შეეგებება საბჭოთა სახელმწიფოს 50 წლისთავისა და ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის დიად თარიღებს.

**ნ. გურეშიძე,**
საქართველოს მწერალთა კავშირის პარტბიუროს მდივანი.

# საკოლმეურნეო მრავალტირაჟიანი გაზეთების რედაქტორთა სემინარი

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირმა ამ დღეებში მოაწყო საკოლმეურნეო მრავალტირაჟიანი გაზეთების რედაქტორთა ორდღიანი რესპუბლიკური სემინარი, რომელსაც ესწრებოდნენ ზუგდიდის, სიღნაღის, მახარაძის, გურჯაანის, ჩოხატაურის, წითელწყაროსა და თელავის რაიონების საკოლმეურნეო მრავალტირაჟიანი გაზეთების რედაქტორები.

სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებები: დოცენტ ი. ნატროშვილისა — „გაზეთის მუშაობის ორგანიზაცია“, გაზეთ „კომუნისტის“ მუშაკის ე. ჯაფარიძისა — „რედაქციის მასობრივი მუშაობა აქტივთან“, გაზეთ „სოფლის ცხოვრების“ განყოფილების გამგის ვ. გოგოლაშვილისა — „კორესპონდენცია გაზეთში“, პოეტ ა. ბეგაშვილისა — „გაზეთის ენა და სტილი“ და დოცენტ ე. მენაბდისა — „საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ“.

გაზეთების „კომუნისტისა“ და „სოფლის ცხოვრების“ რედაქტორების მოადგილეებმა ბ. თათარიშვილმა და ვ. შავგულიძემ თათბირის მონაწილეებისათვის მოაწყვეს პრაქტიკული მეცადინეობა საკოლმეურნეო მრავალტირაჟიანი გაზეთების დაგეგმვის, საგაზეთო მასალების რედაქტირების, გაზეთის გამოშვების ტექნიკის შესახებ. (საქდესი).

# საზღვარგარეთული ცნობარი

## მეგობრობის ვითარებაში

### ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასკომის სხდომა

1965 წლის 7-9 აპრილს მოსკოვში გაიმართა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მეჩვიდმეტე სხდომა.

სხდომაში მონაწილეობდნენ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ს. ტოდოროვი, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ა. აპრო, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ჰ. მაიზერი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე დ. მოლომჟამცი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე პ. იაროშევიჩი, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის მთავრობის კომისიის მდივანი გ. ჩოარე, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე მ. ლესეჩკო, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ო. შიმუნეკი.

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომას თავმჯდომარეობდა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელი, უნგრეთის რევოლუციური მუშურ-გლეხური მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ა. აპრო.

[illegible]

მისიის წინადადებანი ზემოაღნიშნულ საკითხებზე, როგორც იმის საფუძველი, რომ მომზადდეს უმნიშვნელოვანესი მეცნიერული და ტექნიკური პრობლემების კოორდინაციის თემატური გეგმები, რომლებსაც კოორდინაცია უნდა გაუწიონ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ორგანოებმა აღნიშნულ პერიოდში.

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომამ განიხილა ზოგიერთი საკითხი, თუ როგორ სრულდება ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მანქანათმშენებლობის, რადიოტექნიკისა და ელექტრონული მრეწველობის ძირითად დარგებში სპეციალიზაციისა და წარმოების კოოპერირების საკითხთა XIX სესიის გადაწყვეტილებანი და როგორ მუშავდება შესაბამისი წინადადებანი.

აღმასრულებელმა კომიტეტმა განიხილა საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების სპეციალისტთა კონფერენციის მომზადებასთან იმისათვის, რომ ყოველმხრივ განიხილონ წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების პრობლემები, განსაკუთრებით მანქანათმშენებლობაში, რადიოტექნიკასა და ელექტრონულ მრეწველობაში, და დაავალა საბჭოს სამდივნოს კონფერენცია მოიწვიოს 1965 წლის მეორე ნახევარში.

აღმასრულებელმა კომიტეტმა განიხილა ეკონომიურ ურთიერთდახმარების საბჭოს მანქანათმშენებლობის მუდმივი კომისიის წინადადება იმის შესახებ, თუ როგორი წესით განაგრძონ მუშაობა იმისათვის, რომ უზრუნველყონ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების [illegible]

[illegible] ტექნიკური კვლევის იმ ძირითადი მიმართულებების შესახებ, რომლებიც დიდად საინტერესოა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნებისათვის და კოორდინაცია უნდა გაუწიონ საბჭოს ორგანოებმა 1966-1970 წლებში".

აღმასრულებელმა კომიტეტმა მოიწონა კო- [illegible] ნიხილა აგრეთვე ეკონომიური თანამშრომლობის სხვა საკითხებიც, რომლებზეც მიღებულია შესაბამისი დადგენილებანი.

აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა ძმური მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა.

## ვილსონი ამშვიდებს...

**ლონდონი**, 12 აპრილი. (საკდესი). ინგლისის პრემიერ-მინისტრმა ჰაროლდ ვილსონმა, რომელიც გუშინ, ამერიკის შეერთებულ შტატებში გამგზავრების წინ, გამოვიდა ლეიბორისტთა მიტინგზე რედინგში (ბერკშირის საგრაფო), ქება შეასხა პრეზიდენტ ჯონსონის ამასწინანდელ სიტყვას, რაც მან ბალტიმორში წარმოთქვა. მიტინგის მონაწილეებმა ინგლისის პრემიერს არაერთხელ შეაწყვეტინეს გამოსვლა პროტესტის შეძახილებით.

პოლიტიკური მეთვალყურენი აღნიშნავენ, რომ ინგლისის პრემიერ-მინისტრმა გადაწყვიტა თავისი გამოსვლით „დაიმშვიდებინა" ლეიბორისტული პარტიის პროგრესულად განწყობილი წევრები შეერთებულ შტატებში გამგზავრების წინ. გაზეთი „დეილი უორკერი" დღეს ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ვილსონი შეეცადა ჯონსონის მიერ ბალტიმორში წარმოთქმული სიტყვა დაეხატა, როგორც ინიციატივა მშვიდობის მიღწევის საქმეში. მაგრამ ამ სიტყვას მოჰყვა, წერს გაზეთი, ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის კიდევ ორი ბატალიონის გაგზავნა სამხრეთ ვიეტნამში და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის დაბომბვის გაძლიერება.

დიდი ბრიტანეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ჯონ გოლანმა მანჩესტერში მიტინგზე განაცხადა, რომ ვიეტნამში მშვიდობის მიღწევის ერთადერთი გზაა ამერიკის აგრესიის შეწყვეტა.

მიტინგის 1.300-მდე მონაწილემ ერთსულოვნად მიიღო რეზოლუცია, რომელიც გმობს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიას ვიეტნამში.

### დამატებითი ჯარები

**ნიუ-იორკი**, 12 აპრილი. (საკდესი). ამერიკის დაახლოებით 1.100 ქვეით ჯარისკაცსა და სამხედრო პოლიციელს გაგზავნიან სამხრეთვიეტნამში ამ ქვეყნის 75 ამერიკული სამხედრო ობიექტის დასაცავად. ამას იუწყება ასოშიეიტედ პრესის სააგენტო. სამხრეთვიეტნამში მათი გაგზავნის გადაწყვეტილება მიიღეს ვაშინგტონში ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელებმა. სამხრეთ [illegible]

### ამერიკას ვიეტნამში შეაქვს ატომური იარაღი

**ნიუ-იორკი**, 13 აპრილი. (საკდესი). ამერიკის სააგენტოები საიგონიდან იუწყებიან, რომ ახალ საჩეხობათა იარაღში, რომელიც ამერიკის და-ნანგის ბაზაში მიიტანეს, არის რვა დიუმიანი ქვემეხები, რომლებიც განკუთვნილია „ტაქტიკური ატომური ყუმბარებისათვის". გაზეთი „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნი" აღნიშნავს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები ზრდიან თანამედროვე სამხედრო ტექნიკის რაოდენობას სამხრეთ ვიეტნამში.

## ერთობა, თავდადება

**ჰანოი**, 12 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი ე. კობელევი იტყობინება: დღეს კონფერენციაზე კორესპონდენტებს გააცნეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული კრების სესიის მასალები. სესია მიმდინარეობდა ჰანოიში 8-დან 10 აპრილამდე. სესიამ განიხილა მდგომარეობა, რომელიც ქვეყნად შეიქმნა ამერიკის აგრესიის შედეგად. ამ საკითხზე სესიაზე მოხსენება გააკეთა პრემიერ-მინისტრმა ფამ ვან დონგმა. მან გამოთქვა მტკიცე რწმენა, რომ საბოლოოდ გაიმარჯვებს ვიეტნამელი ხალხი, ამასთან დაიმოწმა კერძოდ ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ხალხის ერთობა და თავდადება ეროვნული განთავისუფლებისათვის, სოციალისტური ბანაკისა და მსოფლიოს ყველა ხალხის თანადგომა და დახმარება. შემდეგ პრემიერ-მინისტრი შეეხო მრავალ ამოცანებს, თქვა, რომ ენერგიულად უნდა განავითარონ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკა, გაზარდონ მისი სამხედრო-ეკონომიური პოტენციალი, აამაღლონ არმიისა და მოსახლეობის ბრძოლისუნარიანობა. შეეხო რა ვიეტნამის საკითხის გადაჭრის გზებს, ფამ ვან დონგმა აღნიშნა, რომ ზუსტად უნდა დაიცვან ჟენევის 1954 წლის შეთანხმებანი ვიეტნამის საკითხზე, სწორად შეასრულონ ამ შეთანხმებათა ძირითადი დებულებანი.

სესიაზე სიტყვა წარმოთქვა პრეზიდენტმა ხო ში მინმა.

სესიის მონაწილეებმა მიიღეს დიდმნიშვნელოვანი გადაწყვეტილებანი, როგორიცაა ეროვნული კრების მუდმივი კომიტეტის აღჭურვა საგანგებო რწმუნებებით, სამხედრო ვალდებულების კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა.

## ეს საფრანგეთს ახსოვს

**პარიზი**, 12 აპრილი. (საკდესის კორ.). ჟაკ დებიუ-ბრიდელი, თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც თანაუგრძნობს დე გოლს, ყოფილი სენატორი, მწერალი და ჟურნალისტი, ამაყობს იმით, რომ იყო საზოგადოება „საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის" ერთ-ერთი ფუძემდებელი. 1943 წელს ჟაკ დებიუ-ბრიდელი იყო საფრანგეთის წინააღმდეგობის ეროვნული საბჭოს წევრი. საკდესის კორესპონდენტთან საუბარში მან ფაშისტურ გერმანიაზე ანტიჰიტლერული კოალიციის გამარჯვების 20 წლისთავის გამო განაცხადა:

„საერთო გამარჯვების მეოცე წლისთავი, — ამბობს დებიუ-ბრიდელი, — მოგვაგონებს მოკავშირეთა არმიების ძმობას, რომლებიც ერთმანეთს შეხვდნენ გერმანიის ცენტრში.

ეს ძმობა განსაკუთრებით სამახსოვროა იმათთვის, ვინც იბრძოდა ნაცისტი აგრესორის წინააღმდეგ თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე. არასოდეს არ დაგვავიწყდება რა მღელვარებით, რა იმედითა და ხშირად შიშით თვალყურს ვადევნებდით საბჭოთა არმიის ბრძოლას.

გერმანიის არმიის კაპიტულაცია ვოლგაზე ერთ-ერთი დიდი თარიღია ამ ომის ისტორიაში. ამ დღემ მოგვანიჭა მომავალი გამარჯვების რწმენა. სწორედ ამიტომ გული მეკუმშებოდა, ცრემლი მერეოდა სამივეჯერ, როცა კი ვყოფილვარ ვოლგოგრადში.

ბედნიერ დამთხვევად მიმაჩნია ის, რომ გამარჯვების მეოცე წლისთავს ვზეიმობთ ჩვენი ქვეყნების კვლავ მოპოვებული ნდობის ვითარებაში", — თქვა დასასრულ დებიუ-ბრიდელმა.

## ლ. ჯონსონი შეხვდა სენატორებს

**ვაშინგტონი**, 13 აპრილი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ლ. ჯონსონი გუშინ საღამოს თეთრ სახლში შეხვდა სენატის წევრების ერთ მესამედს. მომავალ ორ დღეში იგი ანალოგიურ შეხვედრებს მოაწყობს დანარჩენ სენატორებთან.

თეთრი სახლის მდივანმა პრესის საკითხებში რიდიმ განაცხადა, რომ ამ შეხვედრების მიზანია აზრთა გაზიარება საშინაო და საერთაშორისო პრობლემებზე.

## მოკლედ

**ნიუ-იორკი**, 13 აპრილი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა უ ტანმა გადაწყვიტა 21 აპრილს მოიწვიოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისია. კომისია კვლავ იწყებს მუშაობას საბჭოთა კავშირის წინადადებით.

[illegible]



[illegible] ეროვნულ - განმათავისუფლებელი არმია. სურათზე: არმიის მებრძოლები შესვენების დროს. (საკდესის ფოტოქრონიკა).

## კომუნისტი — ლიტერატორი

### დ. დემეტრაძის დაბადების 60 წლისთავის გამო

საბჭოთა ლიტერატურის მიერ განვლილი გზების ყოველმხრივი შესწავლა-გაშუქების პროცესში ჩვენს მეხსიერებაში ცოცხლდებიან იმ ლიტერატორთა სახეები, რომლებსაც თვალსაჩინო წვლილი შეუტანიათ მშობლიური მწერლობის განვითარებაში, მაგრამ რომელთა სახელებიც უსამართლოდ და ნაძალადევად იყო იგნორირებული ათეული წლების მანძილზე. ასეთ ლიტერატორთა რიცხვს ეკუთვნის ჩვენი მწერლობის ნიჭიერი და აქტიური მოღვაწე **დავით დემეტრაძე**.

სრულიად ახალგაზრდამ, 21-22 წლის ჭაბუკმა მოკრძალებულად შემოდგა მან ფეხი მშობლიური მწერლობის სარბიელზე და თავისი მოღვაწეობის ძირითად სფეროდ იმთავითვე ლიტერატურული კრიტიკა და ლიტერატურის ისტორია აირჩია. მისმა პირველმავე წერილებმა ქართული და რუსული კლასიკური ლიტერატურის საკითხებზე მკითხველთა ფართო წრეების ყურადღება და მოწონება დაიმსახურა. მათში ახალგაზრდა ავტორი ფართო ლიტერატურულ ერუდიციას, განვითარებულ გემოვნებას, მხატვრულ ნაწარმოებთა ანალიზისას მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის პრინციპების სწორად მომარჯვების განსაკუთრებულ უნარს იჩენდა.

განსაკუთრებით აქტიური და ნაყოფიერი ლიტერატურული მოღვაწეობა დავით დემეტრაძემ ჩვენი საუკუნის ოციანი და ოცდაათიანი წლების მიჯნაზე გაშალა, ეს ხანა საბჭოთა ლიტერატურის ისტორიის განსაკუთრებულად რთულ და მნიშვნელოვან პერიოდს წარმოადგენდა.

ეს ის დრო იყო, როცა სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის წარმატებებით შთაგონებული საბჭოთა მხატვრული ინტელიგენცია ერთსულოვნად ირაზმებოდა კომუნისტური პარტიის პოზიციების გარშემო და მტკიცე რწმენით და ნებისყოფით ებმებოდა ახალი სამყაროს მშენებლობის დიად საქმეში. იწყებოდა ჩვენი ლიტერატურის სასიცოცხლო ძალთა იდეურ-შემოქმედებითი კონსოლიდაცია, ნიადაგი ეცლებოდა საბჭოთა მწერლობაში, განცალკევებულ ლიტერატურულ დაჯგუფებათა და მიმართულებათა არსებობას. მაგრამ პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, რომელიც დიდხანს წარმოადგენდა პარტიის ძირითად დასაყრდენს ლიტერატურის დარგში, ამ დროისათვის საბჭოთა მწერლობას ასეთი ერთსულოვნებისა და ახალი აღმავლობის შემაფერხებელ ძალად ხდებოდა, იგი უხეშად აყალბებდა და ამახინჯებდა პარტიის სალიტერატურო პოლიტიკისა და მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის ძირითად პრინციპებს და სექტანტური კარჩაკეტილობის გზით ცდილობდა მბრძანებლური მდგომარეობის შენარჩუნებას ლიტერატურულ ფრონტზე.

საბჭოთა მწერლობის ყველაზე აქტიური ძალები უკვე ხმას იმაღლებდნენ პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის ხელმძღვანელთა მანკიერი პოზიციის წინააღმდეგ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართველ ლიტერატორთა შორის დავით დემეტრაძე ყველაზე აქტიურად და თანმიმდევრულად იბრძოდა მაშინ პარტიის სალიტერატურო პოლიტიკის „რაპპულ" დამახინჯებათა წინააღმდეგ, ჩვენი სამწერლო ორგანიზაციების მუშაობის გარდაქმნისა და გაჯანსაღებისათვის.

ამ წლებში დ. დემეტრაძე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატში მუშაობდა და ენერგიულად მონაწილეობდა ლიტერატურულ ცხოვრებაში.

პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1932 წლის 23 აპრილის ისტორიული დადგენილებით გააუქმა პროლეტარულ მწერალთა ასოციაცია, ყველა სხვა განცალკევებული სალიტერატურო-სახელოვნო ორგანიზაცია და ამით გზა გაუხსნა საბჭოთა მწერლობას ახალი მძლავრი აღმავლობისათვის.

პარტიის ამ ბრძნული დადგენილების წარმატებით განხორციელება მოითხოვდა დიდ თეორიულ და ორგანიზატორულ მუშაობას. ორ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა გაცხოველებული მზადება საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობისათვის, რომელიც მოწოდებული იყო პარტიის ხსენებული დადგენილების საფუძველზე შექმნა მრავალეროვნული საბჭოთა მწერლობის გამაერთიანებელი სამწერლო ორგანიზაცია — საბჭოთა მწერლების კავშირი.

მთელ ამ მუშაობაში თვალსაჩინო და მნიშვნელოვან როლს ასრულებდა დ. დემეტრაძე. ჯერ როგორც „ლიტერატურული გაზეთის" რედაქტორი, შემდეგ კი, როგორც საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იგი დაუცხრომლად იღვწოდა ქართული მწერლობის სასიცოცხლო ძალების ნამდვილი შემოქმედებითი კონსოლიდაციისათვის, თავის მრავალრიცხოვან წერილებში ღრმად და თანმიმდევრულად განმარტავდა და ასაბუთებდა პარტიისა და ხალხის მიერ მწერლობის წინაშე დასახულ ახალ ამოცანებს.



დ. დემეტრაძე უშუალოდ მონაწილეობდა იმ შესანიშნავი მოხსენების დამუშავებაში, რომელიც საბჭოთა მწერლობის პირველ ყრილობაზე წაიკითხა საქართველოს მწერალთა კავშირის მაშინდელმა თავმჯდომარემ, ქართველ ბოლშევიკთა პირველი გვარდიის ერთ-ერთმა გამოჩენილმა მესვეურმა მალაქია ტოროშელიძემ. როგორც ცნობილია, ამ მოხსენებამ პირველად გააცნო საბჭოთა ხალხს კლასიკური და თანამედროვე ქართული მწერლობის უმდიდრესი საგანძური, რამაც სასურველი გამოძახილი ჰპოვა მთელ ჩვენს სამშობლოში და მისი საზღვრების გარეთაც. დ. დემეტრაძე საბჭოთა მწერლობის ამ ისტორიული საკავშირო ყრილობის დელეგატი იყო და ერთ-ერთი ხელმძღვანელი ამ ყრილობაზე წარგზავნილი ქართველი მწერალთა დელეგაციისა.

ამ ყრილობის შემდეგ დიდად გაცხოველდა ინტერესი და ყურადღება ქართული მწერლობისადმი, კერძოდ ქართული პოეზიისადმი, საჭირო გახდა ქართული პოეზიის საღამოების გამართვა ჩვენი ქვეყნის უდიდეს ცენტრებში. დავით დემეტრაძე ხელმძღვანელობდა ამ მიზნით მოსკოვსა და ლენინგრადში გაგზავნილ ქართველ პოეტთა დიდ ჯგუფს და იქ გამართულ ქართული პოეზიის საღამოებზე გამოდიოდა მოხსენებებით ჩვენი ეროვნული მწერლობის სახელოვანი ტრადიციებისა და თანამედროვე მიღწევების შესახებ. დ. დემეტრაძე მონაწილე იყო სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის იმ პლენუმისა, რომელიც 1935 წელს ქ. მინსკში გაიმართა და რომელიც საბჭოთა პოეზიის საკითხებისადმი იყო მიძღვნილი.

ჩვენი რესპუბლიკის ქართულ და რუსულ პრესაში დ. დემეტრაძემ გამოაქვეყნა სერია წერილებისა, რომლებშიც ამ პლენუმის შედეგების გაშუქებასთან დაკავშირებით საკითხის ღრმა ცოდნით და პრინციპულობით განიხილავდა ქართული საბჭოთა პოეზიის მდგომარეობას და მისი განვითარების ამოცანებს.

იმავე წელს პარტიის ინიციატივით საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკურ სამწერლო ორგანიზაციაში გაიმართა ცხოველი დისკუსიები, რომლებიც მიმართული იყო საბჭოთა ლიტერატურაში ფორმალიზმისა და ნატურალიზმის რეციდივების წინააღმდეგ. საქართველოს მწერალთა კავშირში გამართულ ასეთ დისკუსიაზე მთავარ მომხსენებლად გამოდიოდა დ. დემეტრაძე.

ოცდაათიანი წლების ქართული მწერლობის ცხოვრებაში არ ყოფილა რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელშიც აქტიური მონაწილეობა არ მიეღოს დ. დემეტრაძეს, როგორც მწერალ-კრიტიკოსს, ლიტერატურათმცოდნეს, სამწერლო ორგანიზაციებისა და მხატვრულ-ლიტერატურული პრესის ერთ-ერთ ხელმძღვანელსა და ორგანიზატორს. წლების განმავლობაში იგი იყო საქართველოს საბჭოთა მწერლობის კავშირის გამგეობის პირველი მდივანი და შეთავსებით სხვადასხვა დროს მუშაობდა „ლიტერატურული გაზეთის" და ჟურნალების „მნათობისა" და „ჩვენი თაობის" რედაქტორად. დ. დემეტრაძე მონაწილეობდა აგრეთვე საშუალო სკოლისათვის ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელოს შედგენაში.

1937 წელს, როდესაც შოთა რუსთაველის გენიალური „ვეფხისტყაოსნის" 750 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით თბილისში მოწვეული იყო სსრ კავშირის მწერალთა კავშირის გამგეობის საიუბილეო-საზეიმო პლენუმი, დ. დემეტრაძეს დაევალა ამ პლენუმზე მოხსენების წაკითხვა იმის შესახებ, თუ როგორ აგრძელებს და ავითარებს თანამედროვე ქართული მწერლობა თავისი უკვდავი წინაპრის სახელოვან ტრადიციებს. ამ დროისათვის დ. დემეტრაძე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორად მუშაობდა და უშუალოდ ხელმძღვანელობდა რუსთაველის ეპოქის ამსახველი საიუბილეო გამოფენის მომზადებას.

სამწუხაროდ, დ. დემეტრაძეს არ დასცალდა მონაწილეობა მიეღო „ვეფხისტყაოსნის" 750 წლისთავის საიუბილეო დიდ სახალხო დღესასწაულში.

ლიტერატურული ცხოვრების ყოველდღიური ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის ზრუნვით ახალგაზრდა ქართველმა ლიტერატორმა ვერ მოასწრო ვრცელი ლიტერატურათმცოდნეობითი ნაშრომების დაწერა. მაგრამ უსამართლობა იქნებოდა იმ თვალსაჩინო წვლილის დავიწყება და უგულებელყოფა, რომელიც დ. დემეტრაძემ წრფელად და უანგაროდ, ჭეშმარიტი პატრიოტული მგზნებარებით შეიტანა ქართული საბჭოთა კულტურის განვითარების საქმეში.

**ბესარიონ ჟღენტი.**

## ინდოეთის კომპარტიის ეროვნული საბჭოს რეზოლუციები

**დელი**, 12 აპრილი. (საკდესი). ინდოეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა სამდივნომ გაავრცელა რეზოლუციები, რომლებიც მიიღეს ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭოს სესიაზე.

რეზოლუციებში საშინაოპოლიტიკური მდგომარეობის შესახებ ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნულმა საბჭომ მოითხოვა ყველა დაპატიმრებული კომუნისტის დაუყოვნებლივ განთავისუფლება, გაუქმება საგანგებო წესებისა ინდოეთში და „კანონისა თავდაცვის შესახებ", აგრეთვე კერალში საპრეზიდენტო მმართველობის გაუქმება.

რეზოლუციაში ვიეტნამის საკითხის გამო ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭო „სრულ სოლიდარობას გამოთქვამს სამხრეთვიეტნამელი ხალხის თავისუფლებისათვის გმირული ბრძოლისადმი, რომელიც წარმოებს განთავისუფლების ეროვნული ფრონტის ხელმძღვანელობით. ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტთა ბარბაროსული აგრესიის წინააღმდეგ". „ამერიკელი იმპერიალისტები, — ნათქვამია რეზოლუციაში, — ყოველ ღონეს ხმარობენ იმისათვის, რომ ჩაახშონ სამხრეთვიეტნამელი ხალხის განმათავისუფლებელი ბრძოლა. საჰაერო თავდასხმები ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე აშკარა და უსირცხვილო აგრესიაა სუვერენული სახელმწიფოს მიმართ „ინდოეთის კომუნისტური პარტია, — ხაზგასმულია რეზოლუციაში, — მტკიცედ გმობს ამ წინასწარგანზრახულ აგრესიას და მის საშიშ გაფართოებას".

კომუნისტური პარტია მოუწოდებს ყველა ინდოელს, რომლებიც ესწრაფვიან მშვიდობას აზიასა და მთელ მსოფლიოში, და ყველას, ვინც იბრძვის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ხალხთა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის, გააერთიანონ ძალები და მოითხოვონ, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა შეწყვიტონ აგრესია ვიეტნამში და დაუყოვნებლივ გამოიყვანონ იქიდან ამერიკის მთელი შეიარაღებული ძალა.

## რეაქცია მძვინვარებს

**ნიქოზია**. 12 აპრილი. (საკდესი). კვიპროსის გაზეთები იუწყებიან, რომ მხეცურად მოკლეს ორი თვალსაჩინო პროფკავშირული მოღვაწე — კვიპროსელი თურქი დ. კავაზოღლუ და კვიპროსელი ბერძენი კ. მიხაულისი. ისინი დახოცეს გუშინ დილისით თურქთა სოფელ ლურიჯინის მახლობლად ნიქოზია-ლარნაკის გზაზე.

ამ მკვლელობასთან დაკავშირებით გამოქვეყნდა მთავრობისა და სრულიად კვიპროსის შრომის ფედერაციის განცხადებანი. მათში აღნიშნულია, რომ ექსტრემისტებმა ორი პროფკავშირული მოღვაწე დახოცეს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ სწამდათ ბერძენ და თურქ კვიპროსელთა მეგობრობა და თანამშრომლობა.

დღეს მთელ კუნძულზე მუშაობა შეწყვიტა სრულიად კვიპროსის შრომის ფედერაციის წევრმა ათასობით კვიპროსელმა მუშამ ორი პროფკავშირული ხელმძღვანელის მკვლელობის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად.

## შეთანხმება მოქმედებს

**ბერლინი**, 12 აპრილი. (საკდესი). დღეს დილიდან დასავლეთ ბერლინის მცხოვრებლებმა დაიწყეს სახელმწიფო საზღვრის გადალახვა, რათა ეწვიონ თავიანთ ნათესავებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში.

12-დან 25 აპრილამდე დასავლეთბერლინელი მოქალაქენი მესამეჯერ ჩავლენ დემოკრატიულ ბერლინში საშვების შესახებ იმ შეთანხმების შესაბამისად, რომელიც დაიდო გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობასა და დასავლეთ ბერლინის სენატს შორის გასული წლის სექტემბერში. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლებმა დასავლეთ ბერლინის მცხოვრებლებს მისცეს 800 ათასამდე საშვი, რომ ეწვიონ ნათესავებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქში. ამ საშვებებით სტუმრებს შეუძლიათ ისარგებლონ აპრილისა ან ივნისის რომელიმე დღეს.

## ტელეგრაფი გვატყობინებს

△ **მოგადიშოში** დამთავრდა სომალის ეროვნული კონგრესის ოპოზიციური პარტიის ყრილობა. ყრილობამ პარტიის თავმჯდომარედ კვლავ აირჩია ალი ჯუმალე, გენერალურ მდივნად — შერმარკის მთავრობის ყოფილი თავდაცვის მინისტრი ალი ისმაილი. ყრილობაზე წამოაყენეს წინადადება დაერქვას პარტიას ეროვნული სოციალისტური კონგრესი.

△ **ასობით** ადამიანი დაიღუპა და ათასობით დაშავდა ამერიკის შუა დასავლეთის შტატებში გრიგალის შედეგად. გრიგალის ქარმა სახურავები აჰხადა სახლებს, წააქცია ტელეგრაფის ბოძები. დაინგრა და დაზიანდა მრავალი სახლი. გრიგალის მიერ მიყენებული მატერიალური ზარალი შეფასებულია მილიონ დოლარად.

△ **12 აპრილს** ღამით ძლიერმა და ხანგრძლივმა ბიძგებმა გააღვიძა იაპონიის ხონსიუს კუნძულის კანტოს რაიონის მრავალი მცხოვრები. იაპონიაში მიღებული შვიდბალიანი შკალით მიწისძვრის ბიძგების ძალა იყო სამი ბალი. ტოკიოში — ორი. იაპონიის მეტეოსამსახურის მონაცემებით, მიწისძვრის ეპიცენტრი არის 60 კილომეტრზე დედამიწის ზედაპირიდან იბარაკის პრეფექტურის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.

△ **ახალი** მიწისძვრა მოხდა ჩილიში. მისი ეპიცენტრია დაახლოებით 800 კილომეტრზე ჩილის დედაქალაქის ჩრდილოეთით. ზარალი ცნობილი არ არის.

△ **ინგლისელ** დიასახლისებს ახალი არასასიამოვნო სიურპრიზი მიართვეს: კონცერნმა „იუნილევერმა" გამოაცხადა, რომ აძვირებს საპონსა და სარეცხ საშუალებებს. ამ ბოლო თერთმეტ თვეში უკვე მესამედ გაძვირდა ზოგიერთი ეს საქონელი. (საკდესი).

◇ საკდესის მიმოხილვა

## გაზები და ბაქტერიები

„ორი ათეული წლის წინათ იაპონელები ავირჩიეთ ორი ტიპის ატომური ბომბის შედარებითი ღირ- [illegible]

[illegible] შემდეგ გავიდა, მსოფლიოში არსად არ გამოუყენებიათ საომარი მომწამვლელი ნივთიერებანი ომის დროს. საერთაშორისო კონვენცია გაზების გამოყენების აკრძალვის შესახებ ვერ გაბედეს დაერღვიათ ჰიტლერსა და მის გენერლებსაც კი. 1943 წელს ამერიკის პრეზიდენტმა რუზველტმა განაცხადა: „ზიზღს მგვრის იმის ფიქრიც კი, რომ რომელიმე ქვეყანას... შეუძლია გამოიყენოს კაცობრიობის წინააღმდეგ ასეთი საშინელი და არაადამიანური იარაღი..." ასეთი ქვეყანა გახდა მისი სამშობლო.

ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის წარმომადგენლებმა, ამართლებენ რა გაზების გამოყენებას, განაცხადეს, რომ სამხრეთ ვიეტნამში მათი ჯარები იყენებენ არა „მომაკვდინებელ" მომწამვლელ ნივთიერებებს, არამედ „მხოლოდ ისეთ ნივთიერებებს", რომლებიც იწვევს ცრემლის დენას, გულის რევასა და დროებით დაბრმავებას. ეს იყო უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე პირველი ოფიციალური აღიარება იმისა, რომ მომწამვლელ ნივთიერებებს იყენებენ.

რაც შეეხება იმ ცდას, რომ დაამშვიდონ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი გამოყენებული გაზები „მომაკვდინებელი" ხასიათისა არ არისო, ეს ბევრს როდი შეიყვანს შეცდომაში. მატყუარას, რომელიც დადებულ პირობას დაარღვევს, არავინ აღარ ენდობა. „ძალიან ძნელი იქნება მსოფლიოს განვუმარტოთ, რომ, გადავდგით რა პირველი ნაბიჯი ქიმიურ ომში, მეტს აღარ გამოვიყენებთ მომაკვდინებელ გაზებს", — სამართლიანად აღნიშნავდა ამერიკის გაზეთი „ჰერალდი". უფრო ძნელი იქნება განუმარტონ მსოფლიოს, თუ რა მიზნით ეწევიან ამერიკის შეერთებული შტატები მრავალი წლის განმავლობაში ფართო კვლევას მომწამვლელი ნივთიერებისა და ბაქტერიოლოგიური იარაღის დარგში და რატომ აქვს მათ წარმოებას სამრეწველო ხასიათი. ამ ფაქტებს აშუქებენ, კერძოდ, მასალები, რომლებიც დროდადრო ქვეყნდება ამერიკის პრესის ფურცლებზე.

ფორტ-დეტრიკის საიდუმლო სამხედრო ბაზაში, რომელიც მდებარეობს მთაში ვაშინგტონიდან დაახლოებით 100 კილომეტრზე, არის ბაქტერიოლოგიური ომის საშუალებათა „სრულყოფის" სამეცნიერო-საკვლევი ცენტრი. გაზეთ „ნიუ-იორკ სტანდარტის" მონაცემებით ამ საშუალებებში შედის, მაგალითად, ისეთი [illegible] იყო ამ ცენტრში, ამერიკელი მეცნიერები ქმნიან ახალი სახეობის ბაქტერიოლოგიურ იარაღს, რომელიც იწვევს ციმბირის წყლულს, შავ ჭირსა და სხვა დაავადებებს.

როკი-მაუნტენის არსენალი მდებარეობს 12 მილზე დენვერის ჩრდილო-აღმოსავლეთით. როგორც ამ რამდენიმე ხნის წინათ „დენვერ პოსტი" წერდა, იგი აშენდა როგორც ყველა ტიპის ქიმიური პროდუქციის პრაქტიკული წარმოების ქარხანა და განკუთვნილია სამხედრო მიზნებისათვის. ამ არსენალში აწარმოებენ რაკეტებისა და ბომბების აღჭურვას სითხით, რომელიც აორთქლებისას ქმნის ნერვულ გაზს. მას სარინი ეწოდება. ამ გაზის, რომელსაც არც ფერი, არც გემო, არც სუნი არა აქვს, მოქმედება ასჯერ უფრო ძლიერია, ვიდრე იპრიტისა, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს იყო გამოყენებული. ამ გაზის უმცირესი რაოდენობაც კი იწვევს დამბლას, დაუძლურებასა და სიკვდილს. სარინს ამზადებენ აქვე ქარხანაში და ინახავენ ვეებერთელა ავზებში, რომლის კედლების სისქე 0,75 დიუმია. მომაკვდინებელი მომწამვლელი ნივთიერებების საცავი მოსახლეობის მუდმივი შეშფოთების მიზეზია, რომელიც არსენალის მახლობლად და დენვერში ცხოვრობს. ეს შეშფოთება სრულიადაც არ შენელებულა მას შემდეგ, როცა 1962 წელს გახმაურდა გაზის გაპარვის შედეგი, რის გამოც მოიწამლა 35 წლის მუშა კლაიდ ტომასი.

არსენალის ქიმიკოსთა მთავარი ამოცანა, როგორც ამტკიცებს „დენვერ პოსტი", ის არის, რომ თხევადი სარინით აღჭურვოს „დედამიწა-დედამიწის" კლასის „ბოლტის" ტაქტიკური რაკეტები. სამი წლის წინათ არსენალმა პენტაგონისაგან შეკვეთა მიიღო, რომ აღეჭურვა 120 ათასი ასეთი რაკეტა. მეორე მთავარი ამოცანაა აღჭურვონ „მს-1" ბომბები სამხედრო-საჰაერო ძალებისათვის, ნაცვლად ასაფეთქებელი ნივთიერებებისა თითოეულ ასეთ ბომბში ახლა აწყობენ 200 გირვანქა სარინსა და მუხტს იმისათვის, რომ წარმოიქმნას შხამიანი სითხის მომაკვდინებელი ორთქლი. როკი-მაუნტენის არსენალი „აღჭურვება" აგრეთვე საარტილერიო ყუმბარებით, ბომბები სამხედრო-საზღვაო ფლოტისათვის და სპეციალური „პატარა ბომბები", რომლებიც განკუთვნილია „ონესტ ჯონის", „ლიტლ ჯონისა" და „სერჟანტის" რაკეტების მუხტებში გამოსაყენებლად. ქარხნის წარმოება, რომელშიც მუშაობს დაახლოებით 150 სამხედრო პირი და 500-ზე მეტი დაქირავებული თანამშრომელი, სწრაფად იზრდება. მაგალითად, 1961 წელს არსენალმა გამოუშვა 1,5 მილიონი დოლარის, 1963 წელს — 17,5 მილიონი დოლარისა და შარშან თითქმის 25 მილიონი დოლარის პროდუქცია.

უკანასკნელი დროის ცნობები, რომ ამერიკელმა იმპერიალისტებმა გამოიყენეს საომარი მომწამვლელი ნივთიერებანი სამხრეთ ვიეტნამში, მოწმობენ, ამერიკის შეერთებული შტატების მხედრიონი სჩადის ახალ დანაშაულს იმ მიზნით, რომ ადამიანებზე გამოსცადოს ომის წარმოების ყველაზე ბარბაროსული საშუალებანი. ტყუილად როდი წერდა დასავლეთ გერმანიის ჟურნალი „შტერნი", რომ ამერიკელები „ამჯობინებენ თავიანთი ნაწარმი (ომის წარმოების ქიმიურ და ბაქტერიოლოგიურ საშუალებათა დარგში) შეამოწმონ ხშირ ჯუნგლებში — იქ, სადაც ვერავინ დააზუსტებს რაიმეს: ვიეტნამში".

## რაზე წერდა გუშინ უცხოეთის პრესა

**დღეს** მთელი მსოფლიო პრესა იუწყება, რომ საბჭოთა კავშირში აღნიშნეს კოსმონავტიკის დღე.

ბევრი ქვეყნის გაზეთები წერენ, რომ ახლოვდება დიადი ისტორიული თარიღი — ჰიტლერული გერმანიის განადგურების 20 წლისთავი. პრაღის გაზეთების ფურცლებზე დიდი ადგილი აქვს დათმობილი მორავიის პირველი ქალაქის — გოდონინის განთავისუფლების 20 წლისთავის დღესასწაულს. ამ ქალაქში გუშინ გაიმართა დიდი მანიფესტაცია და სიტყვა წარმოთქვა ა. ნოვოტნიმ.

**პოლონეთის** პრესა ფართოდ აშუქებს ოსვენციმის საერთაშორისო კომიტეტის კრებას, რომელიც გაიხსნა კრაკოვში საერთაშორისო ორგანიზაციების მრავალი წარმომადგენლის მონაწილეობით. ეს ორგანიზაციები აერთიანებენ ჰიტლერული ბანაკების ყოფილ ტყვეებს.

**სტატიაში**, რომელიც ეძღვნება ნაცისტური ბანაკებიდან ტყვეების განთავისუფლების მე-20 წლისთავს, ფრანგული გაზეთი **„ნასიონი"** ხაზს უსვამს, რომ „ამის დავიწყება შეუძლებელია". ჟორჟ ანდერსენი **„კომბაში"** წერს, თუ როგორ მდიდრდებოდნენ ჰიტლერულ გერმანიაში სამრეწველო ტრესტები სიკვდილის ბანაკების საშუალებით.

**საზღვარგარეთის** პრესა კვლავ ბევრ ყურადღებას უთმობს ამერიკის ავიაციის ბანდიტურ თავდასხმებს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაზე და მსოფლიო საზოგადოებრიობის ენერგიულ პროტესტებს აგრესორთა ბარბაროსული მოქმედების წინააღმდეგ. ათავსებენ ცნობებს, რომ გრძელდება ამერიკის ჯარებისა და საბრძოლო ტექნიკის თავმოყრა სამხრეთ ვიეტნამში. უ. ლიპმანი **„ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნში"** ეხება პრეზიდენტ ჯონსონის მიერ ბალტიმორში წარმოთქმულ სიტყვას და აღნიშნავს, ეს სიტყვა არაფერს არ ცვლისო. ვარშავის **„ტრიბუნა ლუდუ"** წერს, რომ ამ სიტყვის მიზანია დააბნიოს საზოგადოებრივი აზრი, შექმნას შთაბეჭდილება, რომ პოლიტიკაში მოხდა ერთგვარი შემობრუნება, და ამრიგად დააცხროს საყოველთაო აღშფოთება ამერიკელ დამპყრობთა მოქმედების გამო. მაგრამ ეს მეცადინეობა, წერს გაზეთი, ვერ მიაღწევს მიზანს.

**მთელი** რიგი გაზეთები ეხებიან რეიბორნის დანიშვნას ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ახალ დირექტორად. სარედაქციო სტატიაში სათაურით „მთავარი ჯაშუში" **„ნიუ-იორკ ტაიმსი"** წერს, რომ ცნობა რეიბორნის დანიშვნის შესახებ მოულოდნელი იყო, რადგან მანამდე სხვა კანდიდატურებს ასახელებდნენ.

**ნიუ-იორკის** გაზეთების პირველ გვერდზე დღეს წამყვანი ადგილი უკავია ფოტოსურათებსა და იმ უბედურების დაწვრილებით აღწერას, რაც მოიტანა გრიგალმა, შუა დასავლეთის ექვს შტატს რომ გადაუარა. წინასწარი მონაცემებით, მსხვერპლთა რიცხვი უკვე აღწევს 238 კაცს, 2,5 ათასი კაცი დაშავებულია, ასობით სახლი დანგრეულია. (საკდესი).



შავი ზღვის სამგზავრო სანაოსნო ფლოტის მშვენებაა „პობედა", რომელიც აჭარის თვალწარმტაცი სანაპიროების არც თუ ისე იშვიათი სტუმარია. აი ახლაც შორეული ნაოსნობის შემდეგ მას ღუზა ჩაუშვია ბათუმის კოპწია ნავსადგურში.
ფოტო ს. კილაძისა.

# ახალი აგები · მშენები

## ვანის რაიონის კეთილმოწყობა

[illegible]

...ლი ხდება. მშენებლებმა ახლახან დამთავრეს სოფლის მაღაზიის ორსართულიანი შენობის აგება.

მაღაზიის საექსპლოატაციოდ გადაცემა მიმდინარე წლის ივნისისათვის არის გათვალისწინებული. მაღაზია ახლომახლო სოფლების კოლმეურნეებსაც მოემსახურება. („კომუნისტის" საკ. კორ.).

## კონცერტებით კოლმეურნეებში

[illegible] ...რექტორი შ. კინწურაშვილი) კოლექტივმა გასულ წელს 70-ზე მეტი გასვლითი კონცერტი გამართა ზუგდიდის და მეზობელი რაიონების კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და საკოლმეურნეო ფერმებში.

კულტურის სახლთან არსებული საესტრადო ბრიგადა, რომელსაც კ. წიწავა ხელმძღვანელობს, ამ დღეებში ახალი პროგრამით წარსდგა ოქტომბრელი კოლმეურნეებისა და მოსწავლეების წინაშე.

ბ. ალშიბაია.

# წარმატებებისათვის, მეგობრებო!

[illegible]

...რტის საყვარელი სახეობანი. მე ყველაზე უფრო მომწონს ცურვა.

ა. ლეონოვი: მაგონდება დღეები, როცა საექიმო კომისიას უნდა შევერჩიეთ ჩვენ, ახალგაზრდა მფრინავე- [illegible]

...ტის შესარჩევ შეჯიბრებში. რას უსურვებდით საბჭოთა ფეხბურთელებს?

პ. ბელიაევი: უწინარეს ყოვლისა იმას, რომ ფეხბურთის სეზონმა და განსაკუთრებით სსრ კავშირის ჩემპიო- [illegible] ...ფეხბურთელებს ჰოკეისტებისაგან გადაიღონ მაგალითი. ისინი ყოჩაღები არიან!

— დაიწყო პრეტენდენტთა მატჩები ჭადრაკის მსოფლიო ჩემპიონთან ტ. [illegible] ...აზროვნების უნარს. ჯერჯერობით ძნელი სათქმელია, ვინ გაიმარჯვებს რვა პრეტენდენტის შეჯიბრებაში. ყველას ვუსურვებ შემოქმედებით წარმატებებს.



# ღია კონკურსი

# შევქმნათ განახლებული ქართული შრიფტი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი, გაზეთ „კომუნისტის" რედაქცია და პოლიგრაფიისა და გამომცემლობათა რესპუბლიკური სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოება აცხადებენ ღია კონკურსს განახლებული ქართული შრიფტის შექმნაზე.

კონკურსის მიზანია შეიქმნას ისეთი ნორმალური სახის ჩვეულებრივი გარნიტურის შრიფტი (როგორც ნუსხური, ისე მთავრული), რომელიც არსებულ შრიფტებთან შედარებით უფრო ეკონომიური, ადვილად წასაკითხავი, საგრძნობლად მუქი, ლამაზი და საშრიფტო მეურნეობის ახალ მოთხოვნილებათა შესაბამისი იქნება. წარმოდგენილი ნახაზის დამუშავება უნდა შეიძლებოდეს როგორც ნახევრადმუქი, ისე მუქი მოსახვის შრიფტზე.

კონკურსზე წარმოდგენილი ანბანის ნახაზები დამყარებული უნდა იყოს ქართული ასოს ჩონჩხზე, მათი გრაფიკული მოხაზულობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ქართული ასოს დადგენილ სახეს და მის პროპორციულ აღნაგობას.

ნახაზები უნდა გაკეთდეს ორი სახისა: სატექსტო და სასათაურო. სატექსტო ნახაზების ზომა უნდა მოთავსდეს ოთხ პარალელში და მთელი ტანის ასოს ზომა (მაგალითად, ასო „ქ") უნდა იყოს 70 მმ. დანარჩენი ასოები პროპორციულად უნდა დამუშავდეს.

სასათაურო შრიფტის ნახაზების ზომა მთელი ალფაბეტისათვის უნდა იყოს 50 მმ და მოთავსდეს ორ პარალელში.

ნახაზები შეიძლება იყოს როგორც ორშტრიხიანი (ძირითადი და ბეწვური), ისე ერთშტრიხიანი.

შრიფტის ხაზი ისე უნდა იყოს გაანგარიშებული და დადგენილი, რომ შეეფერებოდეს ქართული შრიფტების არსებულ გარნიტურებს.

საკონკურსოდ წარმოდგენილი ალფაბეტი უნდა შეიცავდეს დღეს ხმარებულ 33 და ყველა ძველ ასოსა და ნიშანს. ალფაბეტთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას როგორც არაბული, ისე რომაული ციფრები და ყველა ორთოგრაფიული ნიშანი.

ნახაზებს თან უნდა ახლდეს ოთხი ფოტოსურათი, დაყვანილი ნონპარელის, პეტიტის, კორპუსისა და ციცეროს ზომაზე, ე. ი. 6, 8, 10 და 12 პუნქტზე.

ნახაზები წარმოდგენილ უნდა იქნას 1966 წლის პირველ იანვრამდე.

კონკურსში გამარჯვებულთათვის დაწესებულია სამი პრემია: პირველი — 1.500 მან., მეორე — 1.000 მან., მესამე — 500 მან.

ხოლო იმ ნახაზში, რომელიც მიღებულ იქნება ლითონზე გასამრავლებლად, გარდა საპრემიო თანხისა, ავტორს მიეცემა კიდევ ჰონორარი 1.500 მანეთის ოდენობით.

კონკურსის შედეგები პრესაში გამოქვეყნდება.

მასალები კონკურსზე გამოგზავნილ უნდა იქნას ორი პაკეტით. (ერთში იქნება ნახაზები დევიზით, მეორეში — ავტორის ვინაობა) შემდეგი მისამართით: თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5, მთავარპოლიგრაფმრეწველობა, ქართული შრიფტის ექსპერიმენტულ ლაბორატორიას. სხვა დამატებითი ცნობების მიღება შეიძლება ქართული შრიფტის საექსპერიმენტო ლაბორატორიაში, თბილისი, კამოს ქუჩა № 18, მესამე სართული.

# „ტორპედო" სტარტის წინ

ფეხბურთში საბჭოთა კავშირის გასული წლის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორები — მოსკოვის ტორპედოელები დიდი ხანი არ არის შორეული ავსტრალიიდან დაბრუნდნენ სოჭში სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაზე. ახალგაზრდობის საერთაშორისო ბანაკ „სპუტნიკში" შევხვდი მათ, როცა თავიანთ მორიგ წვრთნაზე წასასვლელად ემზადებოდნენ. სტადიონზე წასვლამდე ნახევარი საათიღა რჩებოდა, და მწვრთნელებმა ვლადიმერ გოროხოვმა და ბორის ხრენოვმა თავაზიანად დამითმეს ეს დრო.

ლაპარაკი მაშინვე ავსტრალიაზე ჩამოვარდა. არც არის გასაკვირველი — თვითეულ მათგანს ხომ უამრავი შთაბეჭდილება აქვს. ვნახე პროგრამები, გაზეთები და ჟურნალები, რომლებიც აშუქებენ ტორპედოელთა მატჩებს. იქ არაერთხელ არის მოხსენიებული თბილისის „დინამოს" გუნდი. დაბეჭდილია ქართველ ფეხბურთელებთან ტორპედოელთა თამაშის ამსახველი ფოტოსურათები.

საერთოდ ავტოქარხნელები კმაყოფილი არიან ტურნეთი.

ცვლილებანი კოლექტივში დიდი არ არის. გორკის „ვოლგიდან" მიღებული არიან ნახევარმცველი ვ. ბრედნევი და თავდამსხმელი ვ. მიხაილოვი, იაროსლავლის „შინიკიდან" — ნახევარმცველი ა. ლინევი. ოსტატებთან ერთად ვარჯიშობენ 17 წლის მცველი ვ. ჩერნიაევი და 18 წლის ს. რიუმინი „ტორპედოს" ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლიდან. წვრთნას გადის კოლექტივში დაბრუნებული ე. სტრელცოვი.

მე ვთხოვე ტორპედოელთა მწვრთნელებს უფრო დაწვრილებით ემბნათ ედუარდ სტრელცოვზე.

— ე. სტრელცოვი სამხრეთში ჩამოვიდა „ტორპედოს" ახალგაზრდულ გუნდთან ერთად. იგი მონაწილეობას იღებდა ახალგაზრდა ტორპედოელთა ყველა საკონტროლო მატჩში. თუ ვილაპარაკებთ სპორტულ ფორმაზე, სტრელცოვი ახლა ისევე თამაშობს, როგორც წინათ.

აქ საინტერესოა ა. კავაზაშვილის აზრი:

— მისი დარტყმები კარში ბევრ უსიამოვნებას აყენებს ჩემს კოლეგებს. ამაში დავრწმუნდი როგორც წვრთნის, ისე ორმხრივი თამაშების დროს. მიუხედავად იმისა, რომ სტრელცოვს მიმაგრებული ჰყავს ხოლმე ორი დარაჯი, მას შეუძლია ადვილად აუაროს მათ გვერდი და ძლიერად, დამიზნებით დაარტყას კარში.

კავაზაშვილთან საუბრის დროს ოთახში შემოვიდა მაღალი, ათლეტური გარეგნობის ქერა ვაჟკაცი. ეს სტრელცოვი იყო. ყველაფერი მარტივად აიხსნა. ის და კავაზაშვილი ერთ ოთახში ცხოვრობდნენ. და ახლა სამნი ვსაუბრობდით. აი პასუხი კითხვებზე, რომლებიც ე. სტრელცოვს მივეცი:

— ყველაფერი, რაც მე დამემართა, კარგი გაკვეთილი იქნება ჩემთვის და მაგალითი სხვებისათვის.

— 4+2+4 სისტემის შესახებ ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ მე და ვალია (ივანოვი) მას კიდევ უფრო ადრე ვთამაშობდით. გახსოვთ, ეს იყო ჩვენი გაორმაგებული ცენტრი.

— დაცვა? დიახ, მისი კლასი ამაღლდა. მაგრამ ჩვენ, თავდამსხმელები, იმისათვის ვართ, რომ დავძლიოთ იგი.

— ახლანდელი ფეხბურთელებიდან მომწონს იაშინი, ივანოვი, პონედელნიკი, ვორონინი, მეტრეველი და მესხი.

ჩვენი საუბარი ამაზე შეწყდა.

ერთმანეთს დავემშვიდობეთ უკვე სტადიონზე. ბ. ხრენოვმა მთხოვა გუნდის სახელით გადავცე სალამი ქართველ ფეხბურთელებსა და მათს გულშემატკივრებს.

მან თქვა:

— აუცილებლად ყოველ ღონეს ვიხმართ, რომ ერევანში ავიღოთ თბილისის „დინამოსთან". ხოლო ჩვენს კოლექტივებს შორის მეგობრობას კიდევ უფრო განვამტკიცებთ.

გ. გიგიტაშვილი.
ქ. სოჭი.

## პირველი ეტაპის ფინიში

გუშინ კიევსა და ლენინგრადში დამთავრდა ხელბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის პირველი ეტაპი ქალთა და ვაჟთა გუნდებისათვის.

კიევის ჯგუფში დიდი ინტერესი გამოიწვია მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტისა და ქ. ტირასპოლის გუნდების უკანასკნელმა მატჩმა. გაიმარჯვეს მოსკოველებმა 15:12.

თბილისის „ბურევესტნიკი" შეხვდა კიეველ თანაკლუბელებს. მართალია, პირველი ტაიმი წააგეს თბილისელებმა 6:9, მაგრამ მეორე ნახევარში მდგომარეობა გამოასწორეს და გაიმარჯვეს 21:20. ამ მატჩში ყველაზე მეტი ბურთი (9) გაიტანა ცერცვაძემ.

კიევის ჯგუფში ლიდერია მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდი (10 ქულა). თბილისის „ბურევესტნიკი" მეორე ადგილზე იმყოფება (8 ქულა).

# საზღვარგარეთის სტადიონებზე

მონტევიდეოში გაიმართა სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების მეორე ფინალური მატჩი ფეხბურთში არგენტინის „ინდეპენდიენტესა" და ურუგვაის „პენიაროლის" გუნდებს შორის. გაიმარჯვეს ურუგვაელებმა ანგარიშით 3:1. პირველ მატჩში წარმატება არგენტინელებს ხვდათ, ამიტომ თასის მფლობელის გამოსავლენად გაიმართება მესამე შეხვედრა.

ლონდონში შედგა ევროპის ქვეყნების თასის მფლობელთა თასის გათამაშების პირველი მეოთხედფინალური მატჩი ფეხბურთში. თამაშობდნენ „ვესტ ჰემისა" (ინგლისი) და „სარაგოსის" (ესპანეთი) გუნდები. გაიმარჯვეს ინგლისელებმა ანგარიშით 2:1.

ფეხბურთში ინგლისის ჩემპიონატის დამთავრებამდე ექვსი ტური დარჩა. საპრიზო ადგილების პრეტენდენტები არიან — „ჩელსი", „ლიდსი" და „მანჩესტერ-იუნაიტედი". ლიდერია „ჩელსი", რომელსაც 53 ქულა აქვს.

# ვ. ა. გონგაძე



ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, სკკპ წევრი 1925 წლიდან, ვარლამ ალექსანდრეს-ძე გონგაძე.

ვ. გონგაძე დაიბადა 1899 წელს სოფ. ქრისტესში (ონის რაიონი), სწავლობდა ჯერ ონის ორკლასიან სასწავლებელში, ხოლო შემდეგ თბილისის ქართულ მუშფაკში.

1918 წელს ვ. გონგაძე მოხალისედ ჩაეწერა წითელ არმიაში და მონაწილეობას იღებდა დენიკინის ბანდების წინააღმდეგ ბრძოლებში. წითელი არმიიდან დაბრუნების შემდეგ ვ. გონგაძე წლების მანძილზე მუშაობდა საქართველოს სხვადასხვა რაიონში პარტიულ, პროფკავშირულ და სამეურნეო სამუშაოებზე.

ვ. გონგაძე სხვადასხვა დროს მუშაობდა პარტიის რაიკომების პირველ მდივნად, სხვა ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა სამუშაოებზე, იყო თბილისის მშრომელთა დეპუტატების და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და რაიონული კომიტეტების წევრი.

1960 წ. ვ. გონგაძემ წარმატებით დაიცვა დისერტაცია ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. 1963 წლიდან სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე იგი მუშაობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ახალი ისტორიის განყოფილებაში უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობაზე. აქტიურ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მუშაობასთან ერთად ვ. გონგაძე ეწეოდა ნაყოფიერ მეცნიერულ მუშაობას. მის კალამს ეკუთვნის რამდენიმე ნაშრომი საქართველოს ისტორიის სხვადასხვა საკითხზე.

ვ. გონგაძე დაჯილდოებული იყო შრომის წითელი დროშის ორი ორდენით, დიდი სამამულო ომის პირველი ხარისხის ორდენით და მედლებით.

უაღრესად თავმდაბალი, გულისხმიერი, შრომისმოყვარე და პრინციპული ადამიანის ვ. გონგაძის ნათელი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება იმათ გულში, ვინც მას იცნობდა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი.

## საინტერესოა ვიცოდეთ

# მისი ასაკი — 40 საუკუნე

ბურთი... ეს მრავალი სათამაშო ნივთი ერთნაირად უყვარს დიდსა და პატარას. იგია ბავშვის უძვირფასესი განძი, იგი თმადათოვლილ მოხუცსაც აღელვებს.

ადამიანი უხსოვარი დროიდან ერთობა ბურთით. მისი წარმოშობა უძველეს წარსულში იმალება, ის უნდა ვეძიოთ კაცობრიობის კულტურის გარიჟრაჟზე.

საერთოდ, ძველთაგანვე ადამიანის ცხოვრებაში თამაშებსა და სანახაობებს მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა. სპორტული თამაშობანი, როგორც ფიზიკური აღზრდისა და განვითარების საქმე, მაღალ დონეზე იდგა ძველ საბერძნეთში. საყოველთაოდ ცნობილია ძველ ათენელთა და სპარტელთა ფიზიკური აღზრდის სისტემა.

ძველი ბერძნები, რომლებიც საერთოდ დიდ პატივს სცემდნენ თავიანთ სპორტულ თამაშობებს, დიდად იყვნენ გატაცებულნი ბურთით. იგი არანაკლებ პოპულარობით სარგებლობდა ძველ რომაელებშიც.

ბურთის თამაში უყვარდათ ძველი რომისა და საბერძნეთის ისეთ გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწეებს, როგორიც იყვნენ ალექსანდრე მაკედონელი, ორივე კატონი, იულიუს კეისარი, ავგუსტიუსი, მარკუს ავრელიუსი, ალექსანდრე სევერი და სხვ.

ბერძნებსა და რომაელებზე ადრე ბურთს იცნობდნენ ძველი ეგვიპტელები. ბურთი ასევე პოპულარული იყო ამერიკელ ინდიელებში, სადაც მას ფიზიკური განვითარების გარდა რელიგიური მნიშვნელობაც ჰქონდა.

საინტერესოა, რამდენი წლის ისტორია აქვს ბურთს?

ამ რამდენიმე წლის წინათ არქეოლოგებმა სამოთრაკიის კუნძულზე ნაპოვნი ტყავის ბურთის თიხის მოდელით დაადგინეს, რომ თანამედროვე ტყავის ბურთი 23 საუკუნისაა. მანამდე კი მის ასაკს ოცი საუკუნით განსაზღვრავდნენ, ვინაიდან ეყრდნობოდნენ რომაელ პოეტ მარკუს მარციალს (40-102 წ.), რომელმაც ბურთი თავის ლექსებში მოიხსენია.

ბურთის ასაკის დადგენისათვის უნდა ვეძიოთ არა მარტო თანამედროვე ტყავის ბურთის მსგავსი, არამედ ის წინამორბედი ნივთი, რომელიც ადამიანმა სათამაშოდ გამოიყენა.

ძველად ბურთები სხვადასხვა სახისა იყო. მაგალითად, ეგვიპტელები, ძველი ბერძნები და რომაელები ხმარობდნენ თიხისა და ტყავის ბურთებს, რომლებსაც ჩვეებით, წვრილად დაჭრილი ლერწმით, პაპირუსითა და ჩალით ტენიდნენ. დახელოვნებული მოთამაშენი კი ქვიშით დატენილი ტყავის ბურთებითაც თამაშობდნენ. ამერიკელ ინდიელებს ირმის ტყავისაგან დამზადებული ბურთები ჰქონდათ, ხოლო ძველ მექსიკელებს — ხისა. რეზინის ბურთები კი ევროპაში საერთოდ ცნობილი გახდა ამერიკის აღმოჩენის შემდეგ.

მარკუს მარციალის მიერ ნახსენებ ბურთს თანამედროვე ტყავის ბურთის წინამორბედად ვერ ჩავთვლით, რადგან არ ვიცით, როგორ, ან რით ზერავდნენ მას. მარციალზე ადრე კი ბურთი მოიხსენია პლუტარქემ. მის მიერ შედგენილ ალექსანდრე მაკედონელის (336-323) ბიოგრაფიაში ვკითხულობთ, ალექსანდრემ ტანთ გაიხადა და მერე ბურთის თამაში დაიწყოო.

პლუტარქეზე ადრე ბურთი ახსენა ძველმა ბერძენმა პოეტმა ანაკრეონტ თეოსელმა ძველი წელთაღრიცხვით დაახლოებით 570-478 წწ. ამ პოეტის მელიკურ სიმღერებში აღნიშნულია: „ოქროსთმიანმა ეროსმა კვლავ მესროლა წითელი ბურთი და სათამაშოდ გამიწვია ჭრელხამლიან გოგონასთან".

ყველაზე უძველეს ლიტერატურულ წყაროს კი, სადაც ნახსენებია ბურთი, ჰომეროსის „ოდისეა" წარმოადგენს. ამ პოემიდან ვტყობილობთ, რომ მეფის ასული ნავსიკაია ბურთის თამაშით ერთობოდა, ე. ი. ბურთის ასაკი 32 საუკუნემდე აღწევს.

თუ მარციალის მიერ ნახსენები ბურთი გასაბერი იყო და კიდევაც ხტოდა, მასზე ადრე, როგორც სვეტონიუს ტრანკვილუსი წერს, იმპერატორი ავგუსტიუსი (27 წ. ძველი — 14 წ. ახალი წელთაღრიცხვით) „ვარჯიშობდა დატენილი ანდა გაბერილი ბურთით".

რაც შეეხება არქეოლოგიურ მასალებს, მათი მიხედვით ბურთის ასაკი უფრო ხანდაზმული გამოდის.. ძველ მექსიკაში ნაპოვნი ბურთით მოთამაშე ადამიანთა გამოსახულებანი 3.400 წლით თარიღდება. ყველაზე უძველეს მასალად კი უნდა მივიჩნიოთ ბენიჰასანში (ძველი ეგვიპტე) აღმოჩენილი აკლდამის კედელი, რომელზეც გამოსახული არიან ბურთით მოთამაშე გოგონები. ბენიჰასანის აკლდამები კი შუა სამეფოს მიეკუთვნებიან (XI—XII დინასტია). გამოდის, რომ ბურთი დაახლოებით 4.000 წლისა, ე. ი. 40 საუკუნისა ყოფილა. შესაძლებელია, ბურთს ეგვიპტელები უფრო ადრე დინასტიებშიც იცნობდნენ, მაგრამ ამის შესახებ მეცნიერებს ჯერჯერობით მასალები არ მოეპოვებათ.

როგორც ვხედავთ, ადამიანი ძველთაგანვე სათამაშოდ სხვადასხვა სახის ბურთებს იყენებდა. ასევე სხვადასხვა სახისა იყო ძველ ხალხებში ბურთის თამაშობანი და მათი წესები. ფარაონთა ეგვიპტიდან დღემდე ისტორიამ ბურთის თამაშის უამრავი სახეობა შემოგვინახა — ძველ ბერძენთა და რომაელთა „ჰარპასტუმი", „ეპისკიროსი", „ფენინდა", „სფერომახია", ძველ ინდიელთა „ბაგიატვაი", ძველ მექსიკელთა „ტლატჩლი" და სხვ. დღეს მსოფლიოში ბურთის თამაშის უამრავი სახეობა არსებობს, რომელთა შორის ყველაზე პოპულარულია ფეხბურთი.

თანამედროვე ფეხბურთის სამშობლოდ აღიარებულია ინგლისი. საერთოდ, ბურთის ფეხით თამაში ინგლისელებმა რომაელებისაგან გადაიღეს ბრიტანეთის კუნძულებზე რომაელების ლაშქრობათა შემდეგ. რომაელ ლეგიონერებს ბურთის სათამაშოდ სპეციალური ფეხსაცმელი — „კოლცეუსი" ჰქონდათ. ამ სიტყვის ძირი შემორჩა თანამედროვე იტალიურ ენას „კალჩო", რაც ფეხბურთს ნიშნავს.

ევროპული ფეხბურთის ერთ-ერთი უძველესი სახეა ირლანდიური ფეხბურთი — გელური ფეხბურთი, რომელიც შემოიღეს 1.000 წლის წინათ. ის დღესაც ირლანდიელთა ეროვნულ თამაშად ითვლება. თამაშობენ როგორც ხელით, ისე ფეხით.

როგორც ცნობილია, თანამედროვე ფეხბურთი ერთი საუკუნისაა. მანამდე კი ფეხბურთს, რომელიც ინგლისში მეტად პოპულარული იყო, სხვა სახე ჰქონდა. მეფე ედუარდ მეორემ აკრძალა ფეხბურთის თამაში ქალაქის ფარგლებში. ბრძანებაში ფეხბურთს ეწოდა „გაცოფება დიდი ბურთით". ასევე აკრძალა ბურთი რიჩარდ მეორემ. ინგლისში ფეხბურთის თამაშისათვის დაწესებულ იქნა უმაღლესი სასჯელი — სიკვდილით დასჯა. მხოლოდ 1643 წელს კანონით ნებადართულ იქნა ფეხბურთის თამაში. გასული საუკუნის ფეხბურთს დღევანდელი დახვეწილი წესები როდი ჰქონდა. ხშირად იგი სისხლისღვრით თავდებოდა. ერთმა ინგლისურმა სამედიცინო ჟურნალმა გამოაქვეყნა ცნობა, რომ 1895 წლის პირველი იანვრიდან მარტამდე ფეხბურთის თამაშის დროს მოხდა 35 უბედური შემთხვევა, რამაც გამოიწვია 15 კაცის სიკვდილი.

ფეხბურთის თამაშის წესები დროთა განმავლობაში იხვეწებოდა. 1878 წელს მსაჯმა პირველად დაიკავა თავისი ადგილი მოედანზე. 1891 წელს შემოღებულ იქნა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა, 1937 წელს ფეხბურთელთა დანომრვა და ა. შ.

1863 წელს ინგლისში ჩამოყალიბდა მანამდე არსებული ბურთის თამაშობის ორი სახე: ფეხბურთი და რეგბი (საინტერესოა, რომ რეგბის თამაშის წარმოშობა დაკავშირებულია 16 წლის უილიამ უებ ელისის სახელთან, რომელმაც 1823 წელს ქ. რეგბიში ფეხბურთის მატჩის დროს დაარღვია თამაშის წესები, ბურთი ხელთ აიტაცა და მოწინააღმდეგის კარისაკენ გაქანდა). სწორედ ეს თარიღია მიღებული თანამედროვე ფეხბურთის დასაწყისად. ამიტომ იყო, რომ 1963 წელს ლონდონში გაიმართა ფეხბურთის 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო მატჩი ინგლისისა და მსოფლიოს ნაკრებ გუნდებს შორის.

ფეხბურთი რუსეთში 1898 წელს ჩაისახა, მაგრამ რევოლუციამდე ის პოპულარული არ იყო. დღეს ფეხბურთი ჩვენს ქვეყანაში სპორტის ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი სახეა და მას წამყვანი ადგილი უჭირავს ფიზიკური აღზრდის სისტემაში.

ფეხბურთი საქართველოშიც რევოლუციის შემდგომ წლებში გახდა პოპულარული.

ბურთი ოდითგანვე უყვარდათ ქართველებს.

საქართველოში ძველად პოპულარული იყო „ლელობურთი" და „ჭაკუნობია" (ხის ბურთის გასაკრავ კაუჭა ჯოხს ჭაკუნი ეწოდებოდა). ეს თამაში „გუთაობის" სახით ფართოდ იყო გავრცელებული აღმოსავლეთ საქართველოში.

საქართველოში დიდად პოპულარული იყო აგრეთვე უძველესი თამაში ჩოგანბურთი. ჩოგანბურთი ხშირად გვხვდება ძველ ქართულ ლიტერატურაში.

ქართული ჩოგანბურთის (ცხენბურთის) თამაშის სანახაობით არაერთი უცხოელი მოგზაური აღტაცებულა. ამ თამაშის წარმტაცი სანახაობა აღწერილი აქვთ იტალიელ მისიონერებს არქანჯელო ლამბერტისა და დიონიჯიო კარლის. ქართველი მხედრების ჩოგნით ბურთაობა ჩახატა იტალიელმა ქრისტეფორე კასტელიმ. ქართველი მხედრების ხელოვნებით განცვიფრებული დარჩენილან ჯერ კიდევ თამარის მეფობის დროს აღმოსავლელი სტუმრები.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით ბურთის ერთ-ერთ თამაშს, რომელიც განკუთვნილი ყოფილა ყრმათათვის, „ჩანჩალა" ეწოდებოდა.

საქართველოში ფეხბურთი თავდაპირველად ფოთში ჩაისახა.

ქართველმა ფეხბურთელებმა — სსრ კავშირის ღირსეულმა ჩემპიონებმა — როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე საზღვარგარეთაც თავიანთი მაღალტექნიკური და ვირტუოზული ოსტატობის გამო ფეხბურთის გულშემატკივრებისა და სპეციალისტების მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

ფეხბურთელებთან ერთად ასევე ფართო პოპულარობით სარგებლობენ ქართველი კალათბურთელები, ხელბურთელები და წყალბურთელები, რომლებსაც არაერთხელ წარმატებით დაუცავთ ჩვენი რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სპორტული ღირსება.

ს. ედიბარი.



## კომუნისტი — სპორტი

# ზაგრების საჭადრაკო ფესტივალი

ბელგრადი, 13 აპრილი. (საკდესი). ზაგრებში დაიწყო დიდი საჭადრაკო ტურნირი, რომელიც განსაკუთრებით ძლიერია თავისი შემადგენლობით. ცხრა ქვეყნის ოც მონაწილეს შორის თხუთმეტი გროსმაისტერია, რომლებსაც მეთაურობს მსოფლიოს ჩემპიონი ტ. პეტროსიანი.

ტურნირში საბჭოთა კავშირიდან მონაწილეობენ აგრეთვე დ. ბრონშტეინი (მოსკოვი), ვ. ანტოშინი (მოსკოვის ოლქი) და ა. გიპსლისი (რიგა).

პირველ ტურში პეტროსიანისა და ბრონშტეინის პარტია ყაიმით დამთავრდა. დიდი ინტერესი გამოიწვია ლ. პორტიშის (უნგრეთი) და ბ. ივკოვის (იუგოსლავია) პარტიამ, რომლებმაც მალე მონაწილეობა უნდა მიიღონ მსოფლიოს პირველობის პრეტენდენტთა მეოთხედფინალურ მატჩებში. გაიმარჯვა ლ. პორტიშმა.

# ახალი ბინადარი

სოხუმი. (საკ. კორ.). მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ერთ-ერთი წარმომადგენელია ზებუ. ინდოეთში 38 ჯიშის ზებუა გავრცელებული. ეს ცხოველი საინტერესოა იმით, რომ მას კუზში შეუძლია დააგროვოს 20 კილოგრამამდე ცხიმი და შემდეგ გაჭირვების შემთხვევაში, გამოიყენოს როგორც საკვები.

ზებუს ფერმები აქვთ აზერბაიჯანში, სადაც მას დიდი მზრუნველობით უვლიან. მისი ხორცი მაღალი ხარისხისაა, ხოლო რძის ცხიმიანობა 7,7 პროცენტს შეადგენს და, რაც მთავარია, ზებუ დიდ მოვლა-პატრონობას არ მოითხოვს.

1963 წელს სოხუმის სანაშენო საქმის სახელმწიფო სადგურმა ზებუს ორი ლეკეული შემოიყვანა გაგრის რაიონის სოფელ ალახაძის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში. ისინი შეაჯვარეს შავჭრელ მეწარმოებელთან და წელს მიიღებენ პირველ ჰიბრიდებს.

ამას წინათ შემოყვანილ იქნა კიდევ ორი მეწარმოებელი ზებუ. მეცხოველეთა მიზანია ზებუ შეაჯვარონ შავჭრელა ჯიშის ძროხასთან, რომელსაც მთის საძოვრებზე უჭირს სიარული. და მიიღონ ჰიბრიდი, რომელიც უფრო ეგუება ზამთარ-ზაფხულ მთის პირობებს და ექნება მეტი ცხიმიანობის რძე.



• • •

სურათზე: ზებუ სოხუმის სანაშენო საქმის სახელმწიფო სადგურში.
ფოტო მ. ტარასოვისა.

## ტელევიზია

14 აპრილი

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის მხატვრული ფილმი „მანანა", 19.10 — „ჩვენი სატელევიზიო აფიშა", 19.55 — კინონარკვევი, 20.05 — განცხადებები, 20.10 — გადაცემა „ახალი წიგნები", 20.40 — კინონარკვევი, 20.50 — გადაცემა „ქართველი კომპოზიტორები" — ოთარ გორდელი, 21.30 — გერმანული სატელევიზიო ფილმი „ჯოჯოხეთიდან გაქცევა" I სერია (რუსულ ენაზე), 23.10 — კვირის ამბები რუსულ ენაზე.

## თეატრები

14 აპრილი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — I. ჯანი სკიკი, II. სოფლის პატიოსნება (23-ე აბონ. მე-4 წარმოდგენა და გაცდენილი აბონემენტები), რუსთაველის სახელობის დიდი დარბაზი — მეტეხის ჩრდილში (მე-19 აბონ. მე-5 წარმოდგენა). რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი — ირაკლი შუშანიას (ბანი) კონცერტი, მარჯანიშვილის სახელობის — დედა (მე-7 აბონ. მე-4 წარმოდგენა), გრიბოედოვის სახელობის — მილიონერი (მე-7 აბონ. მე-7 წარმოდგენა), ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — მონმარტრის ია, სანკულტურის — როგორ მოვხვდი საგიჟეთში.

## ჩა ვრთოთ, ჩა მოვისმინოთ

## რადიო

14 აპრილი

პირველი პროგრამით

09.15 — ახალგაზრდული სიმღერები, 10.15 — ქართველი პოეტების ლექსები, 10.35 — ნ. გუდიაშვილი. საფორტეპიანო კვინტეტი სოლ მინორი, 11.15 — უკრაინელ კომპოზიტორთა ნაწარმოებები, 12.10 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „სამამულო ომის ექო", 12.25 — ბ. კვერნაძე — ქორეოგრაფიული პოემა „სერაფიტა", 13.10 — ვალსები, 13.40 — ქართული სიმღერები, 14.00 — მუსიკალური მოთხრობა „მადლენ რიფო" (მოსკოვი), 15.00 — „სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებანი ცხოვრებაში" (მოსკოვი), 15.30 — „განთავისუფლების გაზაფხული" (მოსკოვი), 17.15 — გრიგ. საფორტეპიანო ციკლი — „სცენები ხალხური ცხოვრებიდან", 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის — ჟურნალ „ვოკრუგ სვეტას" ფურცლებზე", 18.10 — ქართული ხალხური მუსიკა, 18.45 — „მღერის ტ. ლუკაჩუ", 19.30 — გადაცემა ციკლიდან „გმირული ფურცლები" — „შიდილი ცაში", 19.45 — ნ. სულხანიშვილის სიმღერები, 20.30 — „თბილისი, ბაქო, ერევანი", 21.00 — გადაცემა კულტურის რადიოუნივერსიტეტის მსმენელთათვის — „სერგო კლდიაშვილი", 22.00 — მოცარტის კამერული ნაწარმოებები, 23.30 — ქართული მსუბუქი მუსიკა.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი

თბილისი, ლენინის 14. კომუტატორი: 8-93-09, რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 9-93-09, პ/მ მდივნის — 9-72-80, ხამდივნოსი — 9-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-37-61, პროპაგანდის — 8-22-98, მრეწველობის — 8-20-84, სოფლის მეურნეობის — 9-52-48, საბჭოთა მშენებლობის — 8-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 8-16-90, უცხოეთის — 8-15-68, წერილების — 9-78-24, ილუსტრაციის — 8-28-54, განცხადებების — 9-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 00611 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.